

„თუ ეპისკოპოსს ბრალს სდებს მწვალებელი (ურწმუნო, ათეისტი), ნუ იქნება მიღებული ეს ბრალდება“.

**მოციქულთა კანონების 75-ე მუხლი. კონსტანტინოპოლის მე-2 მსოფლიო კრების მე-6 მუხლი. შდრ. კართაგენის ადგილობრივი კრების 59-ე მუხლი.**

# გაიოზ კერატიშვილი:

# შეთქმულება პატრიარქის წინააღმდეგ ჩაიშალა!

## „დიდი საოცრებაა, რომ ხატების მითვისებას მედავებიან სწორედ ისინი, რომლებიც ხატებს კი არა, ქვეყანას ყიდიან!“

## რედაქციისაგან:

*მიტროპოლიტ* ***გაიოზ კერატიშვილის წერილმა — „საბჭოთა კაგებეს სიცრუის მანქანის დესტრუქციული მეტასტაზები გრძელდება“!*** *(იხ. „ასავალ-დასავალი“, 2015 წლის 14-20 სექტემბერი, №37 (1089) — მკითხველთა არნახული ყურადღება მიიპყრო. შევარდნაძის რეჟიმის მიერ დევნილი ეპისკოპოსის დამაჯერებელმა არგუმენტებმა ერთბაშად გააბათილეს ჯერ კიდევ 70-იან წლებში მის წინააღმდეგ შეთითხნილი ყველა ბრალდება, რომლებიც ცეკას იდეოლოგებმა და საბჭოთა უშიშროების ჯალათებმა დედა-ეკლესიის წინააღმდეგ გამოიყენეს. წითელი იმპერიის სადამსჯელო მაქანამ სცადა ფეხქვეშ გაეთელა* ***საქართველოს ეკლესიის მეორე პირის, წილკნელ-ურბნელი მიტროპოლიტის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქების — ეფრემ მეორისა და დავით მეხუთის ქორეპისკოპოსის, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის — საპატრიარქოს გამოცემათა რედაქტორის გაიოზ*** *(ერისკაცობაში ბიძინა)* ***კერატიშვილის*** *სახელი, რისთვისაც იგი 11 წლით დაღესტნის შრომა-გასწორების კოლონიაში გამოკეტა, მაგრამ ვერაფერი დააკლო მის შეუვალ სულს, მის სიწმინდეს, მის მოთმინებას...*

***დღეს საქართველოს ეკლესიის ყოფილი მაღალიერარქი ერთგვარად აჯამებს მის წინააღმდეგ წარმართულ 37-წლოვან კამპანიას,*** *რადგანაც იცის და ჩვენც მტკიცედ გვჯერა, რომ* ***„მართალი უკუნისამდე არა შეიძრას...“***

ქართულ პრესაში კვლავ გამოჩნდა შევარდნაძის საბჭოური რეჟიმის ყოფილი ძალოვანის **ვახტანგ გვარამიას** მორიგი გამოლაშქრება ჩემს წინააღმდეგ, რომლის მთავარი გათვლა საზოგადოების „დაბოლება“ ჩემი პიროვნების დისკრედიტაციის მიზნით. მისი მონათხრობიდან კეთდება დასკვნა, იგი არა სამართალდამცავი, არამედ **ნებადართული სამართალდამრღვევი** ყოფილა, რასაც უბრალო ხალხი **ყაჩაღს** ეძახდა და რომელიც საბჭოთა სისტემამ არ დასაჯა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი ამ სისტემის სისხლხორცეული ნაწილი იყო და მორჩილებით ასრულებდა **შევარდნაძის რეჟიმის** ნებისმიერ დავალებას!

ვახტანგ გვარამია საკმაოდ გაწაფული ჩანს მოვლენების იმგვარად წარმოჩენაში, რომ სხვა უფრო სერიოზული დანაშაულები ოსტატურად მიჩქმალოს და მიაჩუმათოს. თუ რა სახის დანაშაულებს მალავს, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი, ვიტყვით რომ, **საამისოდ მას ნამდვილად არ ღალატობს „პროფესიული“ ფანტაზია, და რომ პატივცემული ბატონი ამ საქმის დამსახურებული დიდოსტატი ბრძანდება.** მისი მთავარი შეცდომა და დანაშაულიც ის გახლავთ, რომ საკითხი, რომელიც სამართლებრივ სფეროს განეკუთვნება, მთლიანად გამოჰყავს ამ სივრციდან და ჩემს პიროვნებასთან დაკავშირებული არსებითი გარემოებანი, სრულიად არასერიოზული, განყენებული მომენტების ჭრილში გადააქვს, რასაც უბრალო ენით — **ჭორაობა** ჰქვია, და რაზედაც, დიდად სამწუხაროდ, დიდი მოთხოვნაა დღევანდელ საზოგადოებაში.

**ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და კომიკურ ხასიათს ატარებს, ზვიად გამსახურდიას სახელისა და გვარის წინ წამოწევა ჩემი დაპატიმრების მოტივაციის აღწერისას.** ყველაზე დიდი ტყუილი, რაც გვარამიამ ამ ინტერვიუში გამოაცხო, ისაა, **თითქოს გამსახურდიამ თავისი ცნობილი „მონანიება“, რაც საკავშირო ტელევიზიით გადმოიცა, ჩემი დაპატიმრების სანაცვლოდ გააკეთა, და რომ კგბ და გამსახურდია გაურიგდნენ ერთმანეთს საამისოდ.** ხომ შესანიშნავად უწყოდა გვარამიამ, რომ მე პატიმრობაში ამიყვანეს **1978 წლის 25 მაისს,** ხოლო გამსახურდიას „მონანიება“ ჩემს დაპატიმრებამდე **კარგახნით ადრე** შედგა და გადმოიცა ტელევიზიით, რაც მე თვითონ ჩემი საკუთარი ყურით მოვისმინე დაპატიმრებამდე. **და როგორღა გაურიგდებოდა კგბ გამსახურდიას, როცა მისი „მონანიების“ დროს მე ჯერ კიდევ „თავისუფლებაზე“ ვიყავი?** ამ აბდაუბდას, ბევრად აჯობებდა, გვარამიას ეთქვა — „მონანიებამდე“ დაპირდნენო გამსახურდიას კერატიშვილის დაპატიმრებას, მაგრამ ასე რომ ეთქვა, ეს დადასტურება იქნებოდა იმისი, რომ გვარამიამ **კგბ**-ს დაკვეთა შეასრულა, რისი გამჟღავნებაც, არაფრით აწყობდა და არც ახლა არ აწყობს, რომ როგორც უშიშროების აგენტი და მათი დავალების შემსრულებელი, არ გაიშიფროს.

აზრი, რომ გამსახურდიას და ჩემს დაპატიმრებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს და ერთი ხელი მართავდა ამას, მე გავაჟღერე ჯერ კიდევ 2010 წელს „ასავალ-დასავალისათვის“ (804) მიცემულ ჩემს ვრცელ ინტერვიუში, რაც გვარამიას ეტყობა, მოეწონა ახალი ვერსიის შესაქმნელად, და რასაც თავის ინტერვიუში ამ ჩემს აზრს მოხერხებულად იყენებს ჩემსავე წინააღმდეგ სახეშეცვლილი ინტერპრეტაციით. გვარამია ირწმუნება, რომ ჩემი დაპატიმრება მისი პირადი „დამსახურებაა“, და ნურავინ ნუ შემეცილებით ამაშიო, მაგრამ საინტერესოა, რა შეფასებას მისცემს იმ ფაქტს, რომ მის პროვოკაციამდე კარგა ხნით ადრე, უშიშროების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი „ვალუტაში გაჭედვით“ მემუქრებოდა? მაგრამ, გვარამიას ეს აშკარა ტყუილი, რაც არც მის ასაკს და არც მის მდგომარეობას არ ეკადრება, იმისთვისაც სჭირდება, **რომ ჩემი დაპატიმრება გამსახურდიას დისიდენტურ საქმიანობას მიაბას,** **მის „მონანიებას“ გარკვეული ახსნა მოუძებნოს და პოლიტიკურად გაამართლოს.** თანაც, ამით ხომ თავის „მომხრედ და მოკავშირედ“ იხდის გამსახურდიას ყველა მიმდევარს და თაყვანისმცემელს? აი, რა „ჭკვიანური“ გათვლა აქვს გვარამიას! **მისი ფილოსოფიით, მართალია, გამსახურდია ცოცხალი აღარაა, მაგრამ ცოცხლები არიან მისი მიმდევრები, რომლებიც მის პოზიციას კერატიშვილის საკითხში არასოდეს დაივიწყებენ და არ „უღალატებენ“, გვარამიას სწორედ ამ „უძვიფასესი საგაზეთო მოგონების“ წყალობით...**

გვარამიამ არ იცის, ან იცის და მალავს, რომ ბოლოს, როცა მოვლენებს ახლოდან და სულ სხვა თვალით შეხედა გამსახურდიამ, **„კერატიშვილის განადგურება შეცდომად“** აღიარა ...ამის შესახებ ეპისკოპოსმა **იოანე ანანიაშვილმა** მიამბო და სხვების ცნობითაც დასტურდება მისი ეს ნათქვამი... **გამსახურდიას საჩივრების მთელი სიმწვავე და დაუნდობლობა ჩვენს მიმართ, საეკლესიო მმართველობიდან პირადად მისთვის არასასურველი პირების ჩამოცილება და მის მიზნებსა და შეხედულებებს მორგებული პირების მოყვანა იყო, რაც ატარებდა საეკლესიო საქმეებში მისი და მის თანამზრახველთა მხრიდან — უხეში და ძალმომრეობითი ჩარევის აშკარა ხასიათს.**

მაგრამ, როგორც კი უშიშროებამ მისი რეკომენდაციით სინოდი ახალი წევრებით დააკომპლექტა, **ის დესტრუქციული ძალები, რომლებიც გარედან ებრძოდნენ ეკლესიას, ახლა მის შიგნით და წმიდა სინოდში აღმოჩნდნენ და საეკლესიო სიწმინდის დაცვის მანტიები მოირგეს.** ეკლესიაში უმართავი პროცესები დაიწყო და უდიდესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა იგი. გაჩნდა შფოთისა და არევ-დარევის ახალი კერები. სრულიად შემთხვევითი გარემოებებით, **საეკლესიო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე შემომდგარ სუბიექტებს, რომლებსაც არავითარი საერთო ეკლესიასთან არ ჰქონდათ და მხოლოდ ფული აინტერესებდათ, რამდენიმე მღვდელთმთავრის განკვეთის შემდეგ გაუჩნდათ სერიოზული ამბიციები, რომ პატრიარქ ილია მეორესაც გადააყენებდნენ და ხელში ჩაიგდებდნენ მთელ საეკლესიო ძალაუფლებას;** პატრიარქის სავარაუდო შემცვლელიც შერჩეული ჰყავდათ,და სახელიც ჰქონდათ დარქმეული — **დავით მეექვსე,** მაგრამ განგებამ ასე ინება და დიდი ხანია, სიონის ეზოში განისვენებს იგი, ხოლო პატრიარქი დღესაც ცოცხალია.

როცა **პატრიარქის წინააღმდეგ რაიმე შეთქმულებაზეა** ლაპარაკი, სწორედ ეს გახლავთ **შეთქმულების კლასიკური მაგალითი,** რაზედაც უამრავი წერილობითი წყარო არსებობს, მაგრამ ვახტანგ გვარამიას მთავარი მიზანი ხომ ინტრიგის პროვოცირება და ძველი, ყავლგასული ამბების ქექვაა, რითაც შეეძლება **ჩემი და საპატრიარქოს დაპირისპირების** „კარტის გათამაშება“. მაგრამ დრო გავიდა, უამრავი რამ გადაფასდა და სახელი შეეცვალა, რაც არაფრით არ უნდათ, ირწმუნონ ჩემი განადგურების ინიციატორებმა და შემსრულებლებმა. თანაც ჩვენ ახლა, არა კომუნისტურ წყობაში, არამედ სულ სხვა სისტემასა და პოლიტიკურ რეალობაში ვიმყოფებით, სადაც შემიძლია ჩემს ძველ თუ ახალ მტრებს პრესის საშუალებით საკადრისი პასუხი გავცე **და რასაც ცეკას ვერცერთი იდეოლოგიური სამსახურით ვერ დაბლოკავენ.**

მართალია, პატრიარქის არჩევისას განსხვავებული პოზიცია მეკავა, რის სრულ უფლებასაც მაძლევდა საეკლესიო კანონი და ეკლესიის მართვა-გამგეობის „დებულება“, მაგრამ ხომ შევცვალე ჩემი პოზიცია და, ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე, მასთან თანამშრომლობის რეჟიმში გადავერთე? **ან იმას რატომ ივიწყებენ, რომ ახლადარჩეულმა პატრიარქმა თბილისში გადმომიყვანა მცხეთიდან და გამომცემლობის საქმის გაძღოლა მე დამავალა?** თან ვახლდი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობისას და სხვა. **რისთვის სჭირდებათ ურთიერთდამოკიდებულების ნეგატივების ჩხრეკა და მისი დრამატიზება, როცა უამრავი პოზიტივი არსებობს?** რა თქმა უნდა,მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ, ჩემს განადგურებაში მონაწილე სუბიექტებმა თავიანთ თანამოაზრედ და თანამზრახველად ისეთი გავლენიანი უწყება წარმოაჩინონ, როგორიც არის ეკლესია, რაც სინამდვილეში — ასე არ არის... **ეკლესიამ შეიძლება დაუშვას შეცდომა, მაგრამ შეცდომის ლეგიტიმაციას იგი ვერ და არ მოახდენს.** ეს არ იციან ჩვენმა ოპონენტებმა და არც უნდათ, რომ იცოდნენ, რაც მათი განათლებისა და მომზადების პრობლემაცაა...

ფილოსოფოს **დავით გეგეშიძესთან** პირად საუბარში, პატრიარქ ილია მეორეს ნათქვამი აქვს, რომ გაიოზ კერატიშვილის განადგურებაში დიდ ზეწოლას განვიცდიდით მაშინდელი ხელისუფლებისაგანო. ფაქტების შეჯერებითა და ანალიზით დასტურდება, რომ ეს მართლა ასე იყო. მაგრამ **ეკლესია, რომ პრინციპულ პოზიციაზე დამდგარიყო და არ წამოგებოდა ხელისუფლების მზაკვრულ ჩანაფიქრს, ციხეში არა მე, არამედ გვარამია და მისი რამდენიმეკაციანი ბანდა აღმოჩნდებოდა.** ამაში მე ღრმად დარწმუნებული ვარ.

**ეფრემ მეორე რომ ყოფილიყო ამ დროს პატრიარქად, განგაშს ატეხდა და აიძულებდა ხელისუფლებას, დაესაჯა ეს მოძალადე კრიმინალები, რომლებიც 37-იანი წლების ტერორს აღადგენდნენ საქართველოს ეკლესიაში, და ასე თავხედურად და შანტაჟის გზით არღვევდნენ დაწესებულ „საზღვრებს“ და ერეოდნენ ეკლესიის შიდა საქმეებში.**

ხაზგასმით უნდა ითქვას შემდეგი: ეკლესიასთან მიმართებაში მაშინ არსებული კანონები, რომლებიც თავისი არსით ყველანაირად დისკრიმინაციული იყო, მაინც, კატეგორიულად კრძალავდა გვარამიასეული მსგავსი „ოპერაციების“ ჩატარებას. **პატრიარქის მოვალეობა იყო, შეეხსენებინა იგი მათთვის,**

**„საეკლესიო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე შემომდგარ სუბიექტებს, რომლებსაც არავითარი საერთო ეკლესიასთან არ ჰქონდათ და მხოლოდ ფული აინტერესებდათ, რამდენიმე მღვდელთმთავრის განკვეთის შემდეგ გაუჩნდათ სერიოზული ამბიციები, რომ პატრიარქ ილია მეორესაც გადააყენებდნენ და ხელში ჩაიგდებდნენ მთელ საეკლესიო ძალაუფლებას; პატრიარქის სავარაუდო შემცვლელიც შერჩეული ჰყავდათ,და სახელიც ჰქონდათ დარქმეული - დავით მეექვსე, მაგრამ განგებამ ასე ინება და დიდი ხანია, სიონის ეზოში განისვენებს იგი, ხოლო პატრიარქი დღესაც ცოცხალია!“**

**მაგრამ სიცრუის მანქანა მთელი სიმძლავრით იყო ამუშავებული, რასაც პატრიარქი ვეღარ გაუმკლავდა. საამისოდ მას შიდა ინტელექტუალური რესურსი არ გააჩნდა...** ბრალეულობა რაც მე — არა პენსიაზე გასულს, ან განთავისუფლებულს საეპარქიო მმართველობიდან, არამედ როგორც მოქმედ, მმართველ იერარქს — წამომიყენეს, სამართლებრივი თვალსაზრისით იყო არა სისხლის სამართლის, არამედ საეკლესიო სამართლის ქვემდებარე. **თუკი ეკლესიას რაიმე პრეტენზია ექნებოდა ჩემს ნივთებზე, მე, რასაკვირველია, უპრობლემოდ გადავცემდი მათ, თანხმად მოციქულთა და მსოფლიო საეკლესიო კანონთა მოთხოვნისა მსგავს შემთხვევებში...**

ყოფილი „ცეხავიკი“, მიტროპოლიტი **შიო ავალიშვილი,** ოთხჯერ ნასამართლევი და ხუთჯერ ქორწინებული, მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო გადასული და, ფაქტობრივად, ზ. გამსახურდიას წარმოადგენდა სინოდში და არა საქართველოს ეკლესიას, ბედის ირონიით, სინოდის მიერ პატივაყრილი და გაძევებული ეკლესიიდან, ბოლოს მაინც სიონის ეზოში ნახულობს საუკუნო განსასვენებელს... **მიუხედავად მრავალი მცდელობისა და გამსახურდიას დიდი მხარდაჭერისა, მან ვერ შეძლო პატრიარქის განადგურება, მაგრამ შესანიშნავად მოახერხა კგბ-სთან ფარული თანამშრომლობით ჩემი 15 წლით ციხეში გაშვება. საპატრიარქოდან გამოძიებისადმი ყალბი ცნობებისა და განმარტებების მიწოდებით.** იგი — არაფრის მცოდნე საეკლესიო დარგისა — როგორც კი მე დამაპატიმრეს, 1978 წელს, ქორეპისკოპოსად მოგვევლინა საპატრიარქოში. რა უნდა სცოდნოდა **ავალიშვილს** საპატრიარქოს 1972-77 წლების ამბებზე, როცა იგი თბილისში არ ცხოვრობდა, არც საეკლესიო ხარისხს ატარებდა და არავითარი შეხება საპატრიარქოსთან არ ჰქონია? **პროფ. ს. ვარდოსანიძის** ნაშრომში **„ქართველი მღვდელთმთავრები“** მითითებულია, რომ **ავალიშვილი** 1968-1975 წლებში, როცა ეს პროცესები იხარშებოდა, ყაზახეთში, კუსტანაის ოლქში უალკოჰოლო სასმელების საამქროს უფროსად მუშაობდა(!) და ფულს აკეთებდა. მაგრამ **კგბ**-ს სიცრუის მანქანა რისთვისღა არსებობდა? — ავალიშვილსა და მის თანამზრახველთა ხროვას, რომლებმაც ისედაც დაინტერესებულ გამოძიებას თავგზა აუბნიეს **(რაშიც ლომის წილი რელიგიის საქმეთა რწმუნებულ თენგიზ ონოფრიშვილს მიუძღვის)**, მთელი რიგი ფაქტორების გამო ჯერაც არ მიჩენიათ თავიანთი ადგილი ჩვენი ეკლესიის უახლოეს ისტორიაში ჯერ ჩემი და მერე კათოლიკოსის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის გამო. ეს მომავალს მივანდოთ, დაე, მან თქვას თავისი საბოლოო სიტყვა!

იმ ბატალიების შემდეგ, რაც ქართულ ეკლესიაში დაატრიალეს, ობივატელებისა და დემაგოგების თვალში პოზიტიურ პიროვნებებად მათ წარმოსაჩენად მხოლოდღა **„სიკვდილის მოსამართლე“ ა. ალადაშვილის** ხელმოწერით გამოტანილი ჩემი განაჩენი დარჩება. მაგრამ **სად გაგონილა, აღსარების მიმღები მღვდელი სასამართლოზე მოწმედ და ისიც ცრუმოწმედ თავისივე თანამსახურის წინააღმდეგ?..** გვარამია და ალადაშვილი, ყოველთვის ემადლიერებიან თავის ინტერვიუებში მათ მთავარ დასაყრდენს ეკლესიიდან — მოწმე **ანზორ ხაჩატურის ძე გულოევს** (იგივე, არქიმანდრიტი(!) **ალექსანდრე გულიაშვილი**), რომელიც ამჟამად მოსკოვში, კრემლის კლინიკაში, მკურნალობს, რადგანაც „გმირობა გამოიჩინა“ და „მამხილებელი“ ჩვენებები მისცა ჩემს წინააღმდეგ, მაგრამ იმას აღარ კითხულობენ, თუ სულითა და გულით ქართველს, ორი პატრიარქის ხელში გაზრდილს და სამი პატრიარქისაგან მღვდელთმთავრად ხელდასხმულს, რატომ მტრობდა ჩემს წინააღმდეგ მუდამ ჩასაფრებული და მოშურნე გულიევი? შევიდნენ მის სახლში და ნახონ, რა სიმდიდრისა და ქონების პატრონია იგი, და რატომ ეძახიან მას არა **არქიმანდრიტს,** არამედ **არქიბანდიტს?** რუსეთის საეკლესიო წრეებში ხსენებული არქიმანდრიტი თავს იწონებს და ინტერვიუებშიც იხსენებს, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის **პატრიარქმა პიმენმა,** გარდაცვალების წინ სახსოვრად მაჯის საათი გამოუგზავნა, რომლის ქვედა მხარეზე ამოტვიფრულია **პატრიარქ პიმენის** ინიციალები: პ.პ., არადა, სინამდვილეში ეს საათი, საქართველოში ვიზიტისას **პატრიარქმა პიმენმა** მე მაჩუქა და გულიაშვილს მოპარული(!) აქვს ჩხრეკის დროს ჩემი სახლიდან! გვაქვს ინფორმაცია, რომ გამოძიების ნებართვით იგი სხვა ნივთებსაც აყოლებდა ხელს და ისაკუთრებდა. **ჩემი ბინის ჩხრეკის დროს ნივთების მოპარვაზე არც გამოძიების მუშაკები ამბობდნენ უარს.** ეპისკოპოს **გიორგი ღონღაძეს** ჩემი ბიბლიოთეკის მხატვრული ლიტერატურის განყოფილებიდან აკაკი წერეთლის 15-ტომეული აჩუქეს „გასამრჯელოდ“. არადა, იცოდა ვინმემ, რამდენი დრო და შრომა მქონდა გაწეული ამ 15 ტომის შესაგროვებლად? **ბიბლიოთეკა, რომელსაც 13 წლის ასაკიდან ვქმნიდი და 5000-ზე მეტ ტომს მოიცავდა, „წიგნიერმა“ ბანდიტებმა გაანადგურეს...**

ჩხრეკის დროს, ჩემი საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღეს მიღებული ხელფასი 2500 მანეთი, ოქმშიც შეიტანეს (რომელსაც ახლაც ვინახავ), მაგრამ ბოლოს სად გაქრა ეს თანხა? **ალადაშვილის „განაჩენში“** ამ ფულის ხსენებაც კი არაა, რადგან ამოღებისთანავე გადაინაწილეს... ასევე არაა ნახსენები განაჩენში შემნახველი სალაროს ის წიგნაკი, რომელზეც მოსკოვის ერთ-ერთ ბანკში ჩეხოსლოვაკიაში გამგზავრების წინ 1500 მანეთი შევიტანე... **თითქოს წვრილმანია, მაგრამ, როცა ადამიანის ბედი წყდება, იქ უმცირესმა დეტალმაც კი, შეიძლება თავდაყირა დააყენოს ყველაფერი.** სასამართლო პრაქტიკამ ამის უამრავი მაგალითი იცის. ნუკი ილანძღება, სწორედ ამაზე უნდა ლაპარაკობდეს ბატონი მოსამართლე, როცა ინტერვიუს იძლევა!

არავითარ ჩარჩოში არ ჯდება ამ პიროვნების დამოკიდებულება ჩემდამი — **ხომ გამასამართლა, მომისაჯა, გამოიტანა „განაჩენი“ — რაღა უნდა, რატომ განიცდის ავადმყოფურად იმ ფაქტს, რომ ვჩივი და სამართალს ვითხოვ, ვინაიდან მის მიერ გამოტანილი განაჩენი უსაფუძვლო და უსამართლოა, რისი დამამტკიცებელი არაერთი ფაქტი გამაჩნია.** შევარდნაძის სასამართლომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სულ მცირე, 29 ეპიზოდში დაარღვია, როცა ერთიც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ საქმე ხელმეორედ გადასინჯულიყო... **მაშინდელი თუ ახლანდელი კანონი მაძლევს იმის სრულ უფლებას, რომ გავასაჩივრო განაჩენი, ვისი ხელმოწერითაც არ უნდა იყოს იგი გამოტანილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ალადაშვილი** დღესაც იმ პიროვნებათა და უწყებათა სამსახურში იმყოფება, რომლებმაც მას ეს გამამტყუნებელი „განაჩენი“ გამოატანინეს...

გაზეთ „ასავალ-დასავალისადმი“ მიცემულ 2010 წლის ინტერვიუში, დიდი გამოცდილების და კომპეტენციის მქონე **ადვოკატი ვახტანგ ველიაშვილი,** რომელიც ჩემს ინტერესებს იცავდა, ხაზგასმით მიუთითებს, რომ **მოსამართლე ალადაშვილს,** საერთოდ არავითარი სამსჯავრო გამოძიება არ უწარმოებია და რადგანაც პროცესი შეკვეთილი იყო და მოდავე არავინ ჰყავდა, საქმე გაიოლა, აიღო და **გვარამიას შედგენილი საბრალდებო დასკვნა** უცვლელად გადმოწერა განაჩენში (?!). აი, ესაა მისი ყველაზე დიდი და მიუტევებელი დანაშაული! დღეს, როცა საბჭოთა სისტემის სიცრუისა და „სიკვდილის მოსამართლე“ ალადაშვილს „აპრავებენ“, ზოგიერთმა ვაი-ჟურნალისტმა სწორედ ამ ფაქტს მიაქციოს ყურადღება. რატომ არ დგანან ეს ადამიანები პროფესიული მოწოდების სიმაღლეზე და ვერ ხედავენ, რომ **ამ სასამართლოს მხოლოდ სპექტაკლის ფუნქცია ჰქონდა ხალხის თვალის ასახვევად, რათა თქმულიყო, რომ „დამნაშავე მიტროპოლიტი გასამართლდა“ და ეკლესიისვე მოთხოვნით (!) სამართლიანად დაისაჯა..**. მაგრამ რა ძალები იდგნენ ამ სასამართლო ფარსის უკან, ეს ყველაზე უკეთ მე და სამღვდელოებისა თუ საზოგადოების იმ ერთმა ნაწილმა იცოდა, ვინც სიღრმისეულად იყო ჩახედული იმ დროს მიმდინარე პროცესებში...

მორიგ ტყუილად მიმაჩნია **გვარამიას „გახსენება“,** თუ როგორ დააკავშირა უშიშროების გამომძიებელმა **ზიბერტ ხაზალიამ გამსახურდია** და **გვარამია** ტელეფონით ერთმანეთს, რა დროსაც, ვითომც, ჩემს დაპატიმრებაზე ისაუბრეს. არადა, ჩემი დაპატიმრების დროს და მას შემდეგაც ზ. გამსახურდია მოსკოვში ჰყავდათ უშიშროების სამსახურებს. საინტერესოა, როგორ დაელაპარაკებოდა გამსახურდიას ზ. ხაზალია, როცა ის თბილისში, საქართველოს უშიშროებაში მუშაობდა? ამ, ერთი შეხედვით, საინტერესო დიალოგსაც იმიტომ თხზავს გვარამია, მის მიერ ჩემი დაპატიმრება, რაც შეიძლება გაუცხოებული გახადოს უშიშროების სამსახურებიდან, ვითომც ამის შესახებ არავინ, არსად არაფერი არ იცოდა, ოთხი კაცის გარდა, რომელთაგან, დარწმუნებული ვარ, ყველა **კგბ**-ს აგენტურა იყო! ისე, მათ არავინ გააჩერებდა სამსახურში. გვარამია ქალაქკომის მდივან **თენგიზ მენთეშაშვილსაც** ახსენებს და რატომ მალავს, რომ იმ უწყებაში ქალაქ თბილისის უშიშროებაც არსებობდა, რომლის თანხმობის გარეშე ქალაქის ვერცერთი თანამდებობის პირი ვერ დაინიშნებოდა, მით უფრო, მილიციის სფეროდან... **ხაზალიასთან დიალოგის გვარამიასეულ ვარიანტს, თავად გვარამია შეჰყავს ღრმა ჩიხში: ერთი მხრივ — რათა არ გაიშიფროს როგორც აგენტი — ამტკიცებს, რომ მან უშიშროებისგან დამოუკიდებლად დამაპატიმრა, ხოლო, მეორე მხრივ, ირწმუნება, რომ ჩემს დაპატიმრებაზე უშიშროების გამომძიებელი ხაზალია ელაპარაკა მას გამსახურდიასთან ერთად.** ეს პატარა დეტალი, სიმართლესაც რომ შეესაბამებოდეს, განა უშიშროების ჩართულობაზე არ მიუთითებს ჩემს დაპატიმრებაში? მოკლედ, რას ლაპარაკობს, თავადაც არ იცის...

რამდენიმე წინადადებისგან შემდგარ იმ მოკლე ფსევდოდიალოგიდან, რომელსაც გვარამია პრესაში აქვეყნებს, ყურადღებას იქცევს გამსახურდიას მისამართით ნახმარი შემდეგი სიტყვები: **„ჩვენი ზიარი ძმაკაცი“,** რაც ცინიზმის მწვერვალს წარმოადგენს და აი, რატომ. **ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, მაგრამ არის ისეთი მოვლენები, რომელთა იგნორირება არ შეიძლება და საჭიროა, სიმართლე იცოდეს დღევანდელმა საზოგადოებამ:** გვარამია კი ეტმასნებოდა ეროვნულ მოძრაობას და გამსახურდიას ხელისუფლებაში თანამდებობასაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ როგორც კი პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ პუტჩი დაიწყო, უმალ შეიარაღებული მეამბოხეების ბანაკში გადაბარგდა და სამოქალაქო ომის მაპროვოცირებელი (!) გახდა. ეს ხომ ძალიან ბევრმა ადამიანმა იცის. ისიც ხომ მშვენივრად უწყიან, რომ მას ყველასა და ყველაფერს **თავისი გამზრდელი შევარდნაძე** ერჩივნა, რომლის საქართველოში ჩამოყვანის „იდეამ“ შეიარაღებული ამბოხის პირველსავე დღეებში გაიჟღერა! დიახ, იმთავითვე **აშკარა იყო, რომ პუტჩისტების უკან თავად ე. შევარდნაძე იდგა.** იმასაც ამბობენ, რომ, **ვიდრე პუტჩი დაიწყებოდა, გვარამია, თავის მამა-მარჩენალ შევარდნაძესთან იყო ჩასული მოსკოვში „კონსულტაციებზე“.** „მგელს მგელი ურჩევნია, ათას სულ ცხვარსაო“, — ამაზეა ნათქვამი... და აქვე ერთი, წყევლაკრულვიანი კითხვა: **ეკისრება თუ არა სამართლებრივი და, მინიმუმ, მორალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო ომის გაჩაღების გამო ვახტანგ გვარამიას?** დღეს, ამდენი წლების შემდეგ, პრესის საშუალებით ვეკითხები მას: **ბატონო ვახტანგ, რა უფრო დიდი დანაშაულია ღვთისა და ერის წინაშე, „ხატების მითვისება“ თუ ეროვნული ინტერესების ღალატი და სამოქალაქო ომის გაჩაღება?** აი, რას მალავს საგულდაგულოდ პატივცემული გვარამია და რა სახის სპეკულაცია-მანიპულაციებით ჰფუთავს სამოქალაქო ომის გაჩაღებაში საკუთარ დანაშაულს, რომლის მძიმე შედეგებსაც დღემდე იმკის ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება! მაგრამ ამაში მას, ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერაფრით გამოვადგები და ვერც ვერასოდეს გამომიყენებს!

აქვე როგორ არ ითქვას? — გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილი პოლიტიკურ დევნილებად იქცა და ემიგრაციაში წავიდა. ზოგი სად გადაიხვეწა და ზოგი — სად, ხოლო **გაპირველკაცებულ შევარდნაძის ხელისუფლებაშიც** კი ბატონ გვარამიას **(რომელსაც დიდი მდგომარეობა ეკავა გამსახურდიას პრეზიდენტობისას)**, „დამსახურებული“ თანამდებობა მიუბოძეს შევარდნაძის კარზე პუტჩის ორგანიზატორებმა. **აი, სიცრუე და სიცოფე ამა ქვეყნისა!.. ამდენად, მისი მტკიცება, რომ ჩემი დაპატიმრება მისი პირადი და გამსახურდიას დამსახურებაა, სულ სხვა დატვირთვას ატარებს და არ შეესაბამება სინამდვილეს!** გამსახურდიას სახელით სპეკულირებს ასევე მოსამართლე **ა. ალადაშვილი,** რომელიც პუტჩის შემდეგ გამსახურდიას მომხრეებს უმკაცრესად უსწორდებოდა — ზოგს დახვრეტას უსჯიდა და ზოგს — 15-წლიან პატიმრობას...



მცხეთა, სვეტიცხოველი. 1977 წლის 25 დეკემბერი. **ილია მეორის ინტრონიზაცია. ილია მეორე** და **მიტროპოლიტი გაიოზი** წმინდა ტრაპეზთან საღვთო ლიტურგიის დროს.

**„პირად საუბარში პატრიარქ ილია მეორეს ნათქვამი აქვს, რომ გაიოზ კერატიშვილის განადგურებაში დიდ ზეწოლას განვიცდიდით მაშინდელი ხელისუფლებისაგანო. ფაქტების შეჯერებითა და ანალიზით დასტურდება, რომ ეს მართლა ასე იყო!“**

**„ეკლესია რომ პრინციპულ პოზიციაზე დამდგარიყო და არ ნამოგებოდა ხელისუფლების მზაკვრულ ჩანაფიქრს, ციხეში არა მე, არამედ გვარამია და მისი რამდენიმეკაციანი ბანდა აღმოჩნდებოდა!“**



**ყოფილი მოსამართლე ვახტანგ გვარამია**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „ა–დ“ №40



## რედაქციისაგან:

*მიტროპოლიტ* ***გაიოზ კერატიშვილის წერილმა — „საბჭოთა კაგებეს სიცრუის მანქანის დესტრუქციული მეტასტაზები გრძელდება“!*** *(იხ. „ასავალ-დასავალი“, 2015 წლის 14-20 სექტემბერი, №37 (1089) — მკითხველთა არნახული ყურადღება მიიპყრო. შევარდნაძის რეჟიმის მიერ დევნილი ეპისკოპოსის დამაჯერებელმა არგუმენტებმა ერთბაშად გააბათილეს ჯერ კიდევ 70-იან წლებში მის წინააღმდეგ შეთითხნილი ყველა ბრალდება, რომლებიც ცეკას იდეოლოგებმა და საბჭოთა უშიშროების ჯალათებმა დედა-ეკლესიის წინააღმდეგ გამოიყენეს. წითელი იმპერიის სადამსჯელო მანქანამ სცადა ფეხქვეშ გაეთელა* ***საქართველოს ეკლესიის მეორე პირის, წილკნელ-ურბნელი მიტროპოლიტის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქების — ეფრემ მეორისა და დავით მეხუთის ქორეპისკოპოსის, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის — საპატრიარქოს გამოცემათა რედაქტორის*** *ᲒᲐᲘᲝᲖ (ერისკაცობაში ბიძინა)* ***ᲙᲔᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ*** *სახელი, რისთვისაც იგი 11 წლით დაღესტნის შრომა-გასწორების კოლონიაში გამოკეტა, მაგრამ ვერაფერი დააკლო მის შეუვალ სულს, მის სიწმინდეს, მის მოთმინებას...*

***დღეს საქართველოს ეკლესიის ყოფილი მაღალიერარქი ერთგვარად აჯამებს მის წინააღმდეგ წარმართულ 37-ᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ,*** *რადგანაც იცის და ჩვენც მტკიცედ გვჯერა, რომ* ***„მართალი უკუნისამდე არა შეიძრას...“***

„თუ ეპისკოპოსს ბრალს სდებს მწვალებელი (ურწმუნო, ათეისტი), ნუ იქნება მიღებული ეს ბრალდება“.

**მოციქულთა კანონების 75-ე მუხლი. კონსტანტინოპოლის მე-2 მსოფლიო კრების მე-6 მუხლი. შდრ. კართაგენის ადგილობრივი კრების 59-ე მუხლი.**

## გაიოზ კერატიშვილი:

# შეთქმულება პატრიარქის წინააღმდეგ ჩაიშალა!

მე ჯერ კიდევ 1976 წელს ვიცოდი, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოპერატიული განყოფილება დაჭერას მიპირებდა, მაგრამ **პატრიარქი დავით მეხუთე** უშლიდათ ხელს, რომელმაც იმ ბრალდებათა აბსურდულობაზე ყველაფერი უწყოდა. უწყოდა ბევრი სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანიც... **„შეჭმას გიპირებენო“, — მეტყოდა ხოლმე პატრიარქი... მოსალოდნელი დაპატიმრების შესახებ გაფრთხილება მივიღე ამავე უშიშროების ერთ-ერთი ყოფილი მუშაკისგან, რომელიც უნივერსიტეტში მსახურობდა და 1976 წლის ჩემს მიერ გამოცემული საეკლესიო კალენდრის წასაღებად მესტუმრა ბინაზე, ჭოროხის 7 ნომერში. „იცოდე, კგბ-ს ოპერატიულ განყოფილებას არაფერი არ ეჩქარებაო“, — სადარბაზოში გასვლისას ჩუმად მითხრა.** წარმოდგენაც არ მქონდა, რა იყო **ᲙᲒᲑ**-ს ოპერატიული განყოფილება და მერე ნელ-ნელა გავერკვიე ყველაფერში, როცა მოგზავნილ პროვოკატორებს ვაკვირდებოდი და ვაანალიზებდი მათ ქცევასა და თითოეულ სიტყვას. რა თქმა უნდა, მისმა ამ გაფრთხილებამ მძიმედ იმოქმედა ჩემზე და დღესაც არ მაქვს ზუსტი პასუხი, რატომ მითხრა ეს? — მუდმივად შიშის ქვეშ რომ ვყოფილიყავი თუ გამომეჩინა მაქსიმალური სიფრთხილე და გადამერჩინა თავი ავისმზრახველთაგან? მე უფრო ეს უკანასკნელი მგონია... გამსახურდიას ჯგუფი კი, ამ დროს ძალზე გააქტიურებული იყო და საჩივრებს საჩივრებზე წერდა. ჩემთვის უკვე აშკარა შეიქმნა, რომ პირდაპირ კავშირში იყო მისი საჩივრები და უშიშროება, უფრო მეტიც, **მრავალი მტკიცებულება მქონდა ხელთ, გამომეტანა დასკვნა, რომ ამ საჩივრებში აღწერილი მოვლენების სცენარი უშიშროების კაბინეტებში ითხზვებოდა, რასაც მერე გამსახურდია საჩივრის სახეს აძლევდა და ადრესატებს აწვდიდა.** ამაზე მეტყველებს ერთი საინტერესო ამბავიც: ერთ დღეს ბინის ტელეფონზე, **სიონის დეკანოზი ᲞᲐᲮᲣᲛ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ** მირეკავს და მატყობინებს, რომ მე და **ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔᲡ** (შემდეგ **ეპისკოპოსი ილარიონი,** ახლა სალოსად (?!) წოდებული) გვინდა, ამ საღამოს სახლში გესტუმროთო, რაზედაც თავაზიანად დავთანხმდი, თუმცა, ილარიონის მოსვლამ გამაკვირვა, ვინაიდან პატრიარქ დავით მეხუთის, მისი გარემოცვისა და ჩემს წინააღმდეგ უამრავ „დანოსებს“ წერდა ხელისუფლების ორგანოებში. **როგორც წინა წერილშიც აღვნიშნე, იგი სამმაგი აგენტი იყო და ინფორმაციას აწვდიდა ზ. გამსახურდიას, შსს-ს და კგბ-ს.** ბოლოს, რა მოხდა, არ ვიცი, თავის წერილებში იგი გამსახურდიასაც ლანძღავდა... აქ მცირე გადახვევას გავაკეთებ: **დავითის მოსაყდრედ გამოცხადების პირველივე დღიდან პირადად მე და დავითის მთელ გარემოცვას იგი გვადანაშაულებდა საპატრიარქოს გაქურდვასა და ანდერძის განადგურებაში. გარდა საჩივრებისა, ქმნიდა დაჯგუფებებს და ეძებდა გავლენიან პირებს ჩანაფიქრის შესასრულებლად, თითქოს ახალი კათალიკოსის არჩევა მის ან თუნდაც გამსახურდიას ნება-სურვილზე ყოფილიყო დამოკიდებული.** ჩემს საქმეში და ასევე არქივებში უამრავი მისი საჩივარია თავმოყრილი. კათალიკოს დავით მეხუთის და ჩემს წინააღმდეგ ფარულ ომს აწარმოებდა ასევე მღვდელი **ანზორ ხაჩატურის ძე გულიევი (ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ),** რომელიც ჩემი დაპატიმრების პირველი წუთებიდანვე არენაზე გამოიყვანეს და მთავარ „მამხილებელ“ მოწმედ მოავლინეს. გაუგონარი ამბავია, რომ იგი ერთდროულად ბინის ჩხრეკის მონაწილეც გახლავთ და ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთების ამომცნობიც (?!). მისი ჩვენებით, ბრალი მედება ოქროს პანაღიაზეც, რომელიც საერთოდ არ მქონია... წინასწარი გამოძიების დღეებში **გულიაშვილმა** გამოძიების დავალებით მღვდელი **ᲞᲐᲮᲣᲛ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ** სიონში „გააფრთხილა“, როგორც „კეთილისმსურველმა“, რომ ბინის გაჩხრეკას გიპირებენო. ამ მოხუცმა მღვდელმა, რომელიც ასევე მღვდლის შვილი იყო, რაც სახლში ხატები ჰქონდა, აიღო და გადამალა. მასზე უშიშროების თვალთვალი ყოფილიყო დაწესებული და უცნობმა პირმა თბილისის მილიციის სამმართველოს მორიგესთან დარეკა — ამა და ამ კაცმა, ამა და ამ ადგილზე ხატები გადამალაო! დაადგა **ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ** მღვდელ **პახუმ ობოლაძეს** და წაართვა ყველაფერი — თუ ნაქურდალი არა გაქვს, რატომ მალავდიო? უფრო მეტიც — თუ გინდა, რომ კერატიშვილის გვერდზე არ დაგსვათ, რასაც გეტყვით, ის ჩვენება უნდა დაგვიწეროო მის წინააღმდეგო, რაზედაც, სამწუხაროდ, დათანხმადა. ამ ამბავს სულ სხვანაირად ჰყვება გვარამია, მაგრამ მომხდარი ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა ბინძური და ამაზრზენი მეთოდებით მუშაობდნენ მაშინდელი ორგანოები. მაგრამ ყველაზე დიდი საზიზღრობა ამ ავანტიურაში **მღვდელ გულიევის** როლია, რაც არაფრით ჩამოუვარდება იუდა ისკარიოტელის საქციელს. ნერვიულობისაგან მოხუცი დეკანოზი კინაღამ გარდაიცვალა, ეს რა დამმართესო... მაგრამ **მღვდელ ობოლაძეს** ეყო გამბედაობა და სასამართლოზე სულ სხვა ჩვენება მისცა, თუმცა, **ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ძალაში მისი პირველი ჩვენება დატოვა და ახლაც, ჩემს „მამხილებლად“ გამოჰყავს იგი. როდესაც **პახუმ ობოლაძე** და **ილარიონ სამხარაძე** ჩემთან სახლში მობრძანდნენ, ამ უკანასკნელმა დაიწყო ბინის თვალიერება, აკვირდებოდა ყველაფერს და, თურმე, ზომებშიც კი აღნუსხავდა ყველა იმ საგანს, რასაც საეკლესიო ხასიათი ჰქონდა. როგორც ბოლოს ჩემთვის გახდა ცნობილი, მან ამ ნივთების სია ჩამოწერა და **ზ. გამსახურდიასა** და უშიშროების ოფიცერ **ვახტანგ ბახტაძეს** გადასცა **(8 გვერდზე დაწერილი, როგორც თვითონ ამბობს)**, რის შემდეგაც მის მიერ ნანახი ეს ნივთები **კიროვის რაიონის პროკურატურის გამომძიებელ Დ. ᲥᲝᲠᲘᲫᲘᲡ** მიერ ცეკაში გაგზავნილ საჩივარში ხვდება, როგორც საპატრიარქოდან ჩემს მიერ მოპარული ნივთები(!). აი, ასეთი მეთოდებით იკერებოდა საქმეები მაშინ!

პატრიარქ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲮᲣᲗᲘᲡ** არჩევა უმძიმეს პროცესებთან გადაიჯაჭვა სწორედ **სამხარაძისნაირი დამსმენების** წყალობით. მასაც ბრალდებოდა უამრავი რამ და თავდასხმაც კი მოუწყვეს კრიმინალებმა ქვაშვეთის ეკლესიაში, რომლის პატარა კელიაში ცხოვრობდა, ვიდრე პატრიარქად ვაკურთხებდით. სინოდი იძულებული იყო, სპეციალური მიმართვა გაეკეთებინა მე-11 საეკლესიო კრებისადმი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს **ᲞᲠᲝᲤ. Ს. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔᲡ** თავის ნაშრომებში. ვიმოწმებ უახლესი ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელსაც ხელს აწერენ სინოდის მაშინდელი წევრები: **მიტროპოლიტი ᲘᲚᲘᲐ, მიტროპოლიტი ᲖᲘᲜᲝᲕᲘ, მიტროპოლიტი ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖᲘ და ქორეპისკოპოსი ᲒᲐᲘᲝᲖᲘ.** მოგვყავს სიტყვასიტყვით ეს ტექსტი:

**„ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔ-11 ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ.**

ჩვენ, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის ირგვლივ, რომელიც გამოიხატება კერძოდ თუ ჯგუფურად ხელმოწერილი და ანონიმური განცხადებების გავრცელებაში, ეკლესიებში და სხვა ადგილებში ზოგიერთ მორწმუნეთა მიერ ცილისმწამებლურ-პროვოკაციული გამოსვლებით, თავდასხმით მოსაყდრე დავით მიტროპოლიტზე და სხვა მრავალი არასასიამოვნო ფაქტით, ვაცხადებთ მე-11 საეკლესიო კრებისადმი, რომ ამ სამწუხარო ამბების მოთავე და ჩამდენი პირები არიან უძველესი ქართული ეკლესიის აშკარა მტრები, რომელთაც სურთ, მის შინაურ ცხოვრებაში შეიტანონ არევ-დარევა, შექმნან ქაოსი და დაბრკოლებები კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის მეტად სერიოზულ საკითხში. **საქართველოს ეკლესიის საღმრთო სინოდი, საქართველოს ეკლესიის დაქვრივებულ საკათალიკოსო კათედრაზე აღსაყვანად ერთ-ერთ ღირსეულ და ყოველმხრივ შესაფერის კანდიდატად სცნობს და ასახელებს მათ მაღალყოვლადუსამღვდელოესობას ურბნელ მიტროპოლიტ დავითს, როგორც ორგზის დატოვებულს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, როგორც უხუცესს, კარგ ორგანიზატორს და ღვთივგანბრძნობილ მღვდელთმთავარს, შესანიშნავ მოქალაქესა და მოქადაგეს, კაცთა შორის ღვთის სიყვარულის, მშვიდობისა და სათნოებითი ცხოვრების თესლის მთესველს, და ერთგულ და მოშურნე მართლმადიდებელს ქართული სამოციქულო ეკლესიისა“.**

გთხოვთ, სინოდის წევრთა ეს მიმართვა — ვისაც შეგიძლიათ — შეადაროთ ქორიძისა და გამსახურდიას საჩივრების შინაარსს და თავად გააკეთეთ დასკვნები, თუ რასთან გვქონდა საქმე, რატომ ვრცელდებოდა ათასი ჭორი და სისულელე და რა როლს ასრულებდა ყოველივე ამაში მაშინდელი ხელისუფლება. **ᲥᲝᲠᲘᲫᲘᲡ მიერ შედგენილი საჩივარი, რომელსაც ხშირად იმოწმებენ ვაი-ჟურნალისტები, გახლავთ პროკურატურაში მოკალათებული, კგბ-ს აგენტ-პროვოკატორის ერთი ჩვეულებრივი პასკვილი, რომელშიც სრულიად გაყალბებული და დამახინჯებულია საქართველოს საპატრიარქოს მაშინდელი მდგომარეობა და მისი რეალური პრობლემები.** ეს საჩივარი მათივე სამხილი უფროა და ნათლად მეტყველებს, რომ საჩივრის ავტორს აწვდიდნენ და ისიც მარჯვედ იყენებდა უშიშროების ორგანოებისგან მოპოვებულ ცრუ ინფორმაციას, ხატავდა იმდაგვარ სურათს, რასაც მათი გათვლით **ცენტრალური კომიტეტის** მხრიდან საპატრიარქოში რადიკალური ზომების გატარება უნდა მოჰყოლოდა. ხელისუფლება ათეისტური და ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოების მიზნით ხელიდან არ უშვებდა ამ ხელსაყრელ მომენტებს და ცეცხლზე ნავთს ასხამდა. **აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებიდან** გაიჟღერა ასეთმა ფრაზამ: **„კომუნისტები ყველგან წესრიგის მომხრენი ვართ!“** ამაში ეკლესიას გულისხმობდნენ, მაგრამ როგორ წესრიგსაც ამყარებდნენ გასაბჭოების დღიდან და რა ცოდვის კალოსაც ლეწდნენ, ეს ყველამ კარგად ვიცით!

პატრიარქ დავით მეხუთესთან მოაღწია ხმამ, რომ **დ. ქორიძეს,** რომელსაც ნანახიც კი არ ჰყავდა პატრიარქი და ძალზე შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა, ქრთამი აქვს აღებული და ცეკაში გაგზავნილი საჩივრებით დავითის გადასაყენებლად ნიადაგს ამზადებსო... „როგორც ცხელ რკინას გაუშვას კაცმა ხელი, ისე გავუშვებ ხელს ამ თანამდებობას“, — ბრძანა პატრიარქმა, მაგრამ ჯერ ყველაფერში გარკვევა ისურვა... თუმცა, მის წინააღმდეგ აგორებული ცილისმწამებლური ჭორების შესახებ უამრავი ინფორმაცია მოსდიოდა და საკმაოდ კარგადაც ერკვეოდა შექმნილ მდგომარეობაში. **სამღვდელოებას, რომელიც სახელმწიფოსაგან კონსტიტუციურად გამოყოფილ ეკლესიას წარმოადგენდა, გვაიძულებდნენ არა საეკლესიო სამართლისა და „საეკლესიო დებულების“, არამედ პროკურატურის ვიღაც რიგითი გამომძიებლის სურვილებით გვემოქმედა. ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ Დ. ᲥᲝᲠᲘᲫᲔ,** რომელსაც კანონის დაცვა ევალებოდა, თავად იყო ამ კანონის უხეში დამრღვევი. აშკარად ცილისმწამებლურ დოკუმენტს აწერდა ხელს და სინდისის ოდნავი ქენჯნაც კი არ აწუხებდა. ჩანდა, რომ იგი არამარტო უშიშროების შეკვეთას ასრულებდა, „წასახალისებლად“ ქრთამიც ჰქონდა აღებული, ვინაიდან უამრავი ფაქტის ფალსიფიკაციას ახდენდა.

საპატრიარქოში, არც პატრიარქმა და არც მე არაფერი ვიცოდით მის საჩივარში მოყვანილი „ფაქტების“ შესახებ. საჩივრის შინაარსს ხელისუფლება გვიმალავდა, ვინაიდან იცოდნენ, რომ მას კონტრარგუმენტები მოჰყვებოდა და მნიშვნელობა დაეკარგებოდა. გასაოცარი ისაა, რომ გამომძიებელი ქორიძე, რომელიც განგაშს ტეხდა საპატრიარქოს გაქურდვაზე, ერთხელაც არ დაკავშირებია პატრიარქის კანცელარიას და არ მოუთხოვია საინვენტარიზაციო აღწერილობანი, რაც ყველა კათალიკოსის დროს იქმნებოდა და რაც **ᲔᲤᲠᲔᲛ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ** გარდაცვალებიდან სულ რამდენიმე დღეში ჩატარდა მოსაყდრე **დავით მიტროპოლიტის** ინიციატივით შექმნილი კომისიის მიერ უხუცეს **მიტროპოლიტ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖᲘᲡ** ხელმძღვანელობით. პარადოქსი ისაა, რომ **მიტროპოლიტი ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** არც ამ ქორიძის, არც წინასწარი და არც სამსჯავრო გამოძიების პროცესში არ დაკითხულა, მიუხედავად ჩვენ მიერ დაყენებული არაერთი შუამდგომლობისა, გნებავთ, მისივე კატეგორიული მოთხოვნისა გამოძიებისადმი! ჩვენს ხელთაა **ეფრემ მეორის** გარდაცვალებამდე ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე **(9 მარტი,1972 წ. №23)** შედგენილი მიმართვა **რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულ Დ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ,** რომლითაც წინასწარ თადარიგს ვიჭერთ და ვთხოვთ, დაავალოს სინოდს, საპატრიარქოს ქონების აღწერა **ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲖᲘᲡ** თავმჯდომარეობით. მიმართვას

**ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲒᲐᲜ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ, ᲒᲕᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ“, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐ. ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ Დ. ᲥᲝᲠᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲔᲕᲐᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲐᲕᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲛᲠᲦᲕᲔᲕᲘ. ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲣᲠ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲡ ᲐᲬᲔᲠᲓᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲝᲓᲜᲐᲕᲘ ᲥᲔᲜᲯᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ. ᲩᲐᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲐᲠᲐᲛᲐᲠᲢᲝ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ, „ᲬᲐᲡᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲚᲐᲓ“ ᲥᲠᲗᲐᲛᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲓᲐ!**

ხელს აწერენ **მიტროპოლიტი დავითი, მიტროპოლიტი ილია და მიტროპოლიტი რომანოზი.** კომისიის წევრებად დანიშნული იყვნენ სიონის დეკანოზი **პ. ოზოლაძე,** სვეტიცხოვლის დეკანოზი **ვ. შალამბერიძე** და პატრიარქის მდივანი, მღვდელმონაზონი **გაიოზი.**

ცნობისათვის: საპატრიარქოს ქონების სრულად აღწერა შესაძლებელი გახდა მხოლოდ **პატრიარქ ეფრემ მეორის** გარდაცვალების შემდეგ. როგორც ცნობილია, იგი **1972 წლის 7 აპრილს, წითელ პარასკევს, დილის 6 საათზე** გარდაიცვალა. **მონაზონმა დედა ანგელინამ,** რომელიც **მონაზონ მანეფასთან** ერთად ცხოვრობდა საპატრიარქოს პირველ სართულზე, მაშინვე შემატყობინა პატრიარქის გარდაცვალება და გლოვის მაუწყებელი ზარები ჩამოვრეკეთ. დილის 9 საათისთვის შედგა სინოდის სხდომა, რომელმაც მოსაყდრედ **დავით მიტროპოლიტი** აირჩია, რაც ეცნობა ხელისუფლებას. სინოდის წევრები საპატრიარქოში ვიმყოფებოდით... დღის პირველი საათისათვის, ბალზამირების შემდეგ, მიცვალებული ჩამოვასვენეთ სიონის ტაძარში, პატრიარქის ნათესაობამ დატოვა სასახლე, რის შემდეგაც საპატრიარქოს ზედა ოთახები დაილუქა და ყველა გასაღები არსებული წესის მიხედვით ჩაბარდა მოსაყდრეს. **9 აპრილს აღდგომა იყო და, ვინაიდან ტიბიკონი სადღესასწაულო წირვას უჩვენებს, მიცვალებული სიონის ეკვედერში გადავასვენეთ, რაც ჩასაფრებულმა კალმოსნებმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენეს და ცხედრის გადამალვაში (?!) დაგვდეს ბრალი.** პატრიარქი ეფრემ მეორის დაკრძალვის შემდეგ, რომლის ორგანიზებამ მთლიანად ჩემს მხრებზე გადაიარა, დავით მეხუთის განკარგულებით გაიხსნა ოთახები და აღიწერა ყოველივე. საპატრიარქო რეგალიები და კუნკულბარტყულა კი, ვიდრე დაილუქებოდა ზედა ოთახები, მოსაყდრის მოთხოვნით დაბლა გვქონდა ჩამოტანილი და სალაროს სეიფში ინახებოდა... საკვირველია, რომ მას შემდეგ რაც დამაპატიმრეს, სწორედ გამომძიებელ **დავით ქორიძის** შემუშავებული სქემით დაიწყო საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ისე, რომ არავის თვალითაც არ ენახა ქონების აღწერილობა და ამ ქონების დატაცებაზე კი ტეხდნენ განგაშს. მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევის მცდელობის ბრალდებით ჩემი დაკავება სრულიად უკანონო და უსაფუძვლო იყო და ვერ გამასამართლებდნენ, დანაშაულის „დამტკიცების“ ერთადერთ საშუალებად ჩემი კუთვნილი ნივთები რჩებოდა და მაშინდელი სს კოდექსის ყველაზე მძიმე, 96 პრიმა მუხლი წამომიყენეს, რაც დახვრეტას ან 15 წლით თავისუფლების აღკვეთას და ქონების სრულ კონფისკაციას ითვალისწინებდა. **სამართლებრივმა ნონსენსმა სწორედ აქ იჩინა თავი, უმაღლესი იერარქი იმ ეკლესიისა, რომელიც კონსტიტუციურად გამოყოფილი იყო სახელმწიფოსაგან, არ წარმოადგენდა იურიდიულ პირს და არ ითვლებოდა მესაკუთრედ,** სასულიერო პირს, რომელსაც „დებულებით“ მაქვს რეზიდენცია, სადაც შემიძლია ვიქონიო თუნდაც საეკლესიო საკუთრება, მედავებიან დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მიტაცებაში, თანაც იმ სახის ნივთებზე, რომელნიც არ შეიძლება სახელმწიფოს საკუთრება იყოს, ვინაიდან პირადი მოხმარების და საკუთრების საგნებს წარმოადგენს, ანუ არაა არსად აღრიცხული და არ მაქვს არავითარი ვალი სახელმწიფოსი. ამდენად, **დასახელებული 96 პრიმა მუხლით ჩემი დადანაშაულება დღემდე წარმოადგენს გაუგონარ უკანონობას და უსამართლობას. მოსამართლე ალადაშვილს არც მორალი, არც განათლება და არც პროცესის დამკვეთნი ხელისუფლებიდან, არ აძლევდა იოტისოდენა უფლებას, რაიმე ცვლილება შეეტანა შეფარდებული მუხლის გადაკვალიფიცირებაში.** ამით ხომ წილსაც დაკარგავდა იმ 70 000 მანეთიდან, რაც ბინაში მქონდა გადახდილი და რაზედაც წინა წერილში ვილაპარაკეთ? **დღეს იგი ცდილობს, ბუნდოვანება შეიტანოს ამ 70000 მანეთის მიტაცებაზე, და არწმუნებს საზოგადოებას ბინაში 6 000 მანეთი ჰქონდაო გადახდილი, მაგრამ მალავს ჩხრეკის დროს საწერი მაგიდის უჯრიდან ამოღებულ ჩანაწერს, რომლის საფუძველზე დგინდება, თუ ეტაპობრივად, რამდენი, რა რაოდენობის თანხა მქონდა გადახდილი ბინის შეძენაში.** სიცრუისა და გაყალბების დიდოსტატი, ამჯერადაც განუმეორებელია. მოსამართლე დაჟინებით მთხოვდა სასამართლოზე **კათალიკოსის მოწმედ გამოძახების შუამდგომლობა დამეყენებინა,** მაგრამ მივუხვდი, რომ მისი მიზანი არა საქმეში რაიმე სიცხადის შეტანა, პატრიარქის სასამართლოზე მონაწილეობითაც ჩემი მდგომარეობის დამძიმება იყო, რათა განაჩენის საბოლოო შედეგზე პასუხისმგებლობა მთლიანად მისთვის დაეკისრებინა. **ზემოხსენებული მუხლის შეფარდების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, ჩემი სრული და საბოლოო განადგურება იყო,** გათვლილი იმაზე, რომ 15-წლიან პატიმრობას ვერ გავუძლებდი, ციხიდან ცოცხალი ვეღარ გამოვიდოდი და მოდავეც არაფერში ეყოლებოდათ... მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მძიმე მუხლი მქონდა შეფარდებული, მაგრამ სახელმწიფოს არავითარი ვალი არ მქონდა, დაუჯერებელი ამბავი მოხდა და ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავზე გამოცხადებული გორბაჩოვის ამნისტია შემეხო — 15-დან 4 წელი მოიხსნეს!

**როცა ამის შესახებ ჩემმა მტრებმა გაიგეს, ლამის გლოვა გამოაცხადეს...**

გამოძიების მიერ წამოყენებული ბრალდების კვალიფიკაცია და საერთოდ ბრალდების სამართლებრივი საფუძველი, ფუნდამენტურ წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის კონსტიტუციურ კანონთან. ეს ის იურიდიული მოცემულობაა, რომელსაც მხარს ვერ აუქცევს ვერცერთი იურისტი და სამართალმცოდნე. საბჭოთა პერიოდში, სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის კანონის დარღვევის თეორიული შესაძლებლობა, რაც გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე, საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა, საფუძვლად უდევს საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, 1997 წელს მიღებული საქართველოს კანონს — **„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“.** კანონის მე-4 მუხლის ბ) პუნქტში ხაზგასმულია, რომ **პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად მიიჩნევა პირი, თუ მოხდა „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონის დარღვევა“.** ამავე მუხლის მე-2 პუნქტში დაზუსტებულია, თუ ვინ ითვლება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რომ **„პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბი ბრალდების საფუძველზე, რაც დაკავშირებული იყო პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან“.** და აქვე, უმთავრესი კითხვა: ჩემს სასამართლო პროცესზე საზოგადოებრივ ბრალმდებლად სინოდის წევრის, **ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის დასმა** იყო თუ არა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ არსებული კანონის დარღვევა, როცა ეკლესია არ წარმოადგენდა არც იურიდიულ პირს და არც მესაკუთრეს? პასუხი ცალსახაა — **დარღვევა იყო, მაგრამ მოსამართლეს, თეორიულად მაინც რომ სცოდნოდა, რომ ასეთი კანონი როდისმე დაიწერებოდა, საზოგადოებრივ ბრალმდებელ მიტროპოლიტ მახარაძეს თავად გააძევებდა დარბაზიდან!..**

ჩემს ოპონენტებს და ჟურნალისტებს, რომლებიც დღესაც მესხმიან თავს, ვურჩევ და მოვუწოდებ, ვიდრე წერას შეუდგებოდნენ, კარგად შეისწავლონ ხსენებული კანონი, დაიცვან და პატივი სცენ მას...

**ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების განხილვისას, გამოძიება ვალდებული იყო, პასუხი გაეცა ამ მთავარ კითხვებზე, თუ როდის, როგორ, რა ვითარებაში და რა საშუალებების გამოყენებით ან ვისი დახმარებით იქნა დანაშაული ჩადენილი.** ამაზე არაფერი წერია არც საბრალდებო დასკვნაში და არც განაჩენში. რა თქმა უნდა, დაშანტაჟებულ და დაინტერესებულ პირთა **ჩვენებები,** რომლითაც სპეკულირებს ფსევდო მოსამართლე **(რაზედაც ააგეს მთელი გამოძიება და როგორც მათი ურთიერთშეჯერებისას აშკარა ხდება, რომ ზოგან ცრუა და ზოგან გამოძალული),** დანაშაულის მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. ამდენად, ყველა, ვინც ჩემს საქმეზე საუბრობს და ვერ ხედავს ამას, გამოძიების მიერ ჩადენილი დანაშაულის მონაწილე ხდება!

სხვადასხვა წლებში ატეხილი ისტერიკა, თითქოს ეკლესიაში არ ხდებოდა ქონების აღწერა, წინასწარ შემუშავებული სქემის ნაწილს წარმოადგენდა და გათვლილი იყო იმაზე, რომ რასაც კი ჩემს სახლში ნახავდნენ, ცრუ მოწმეების ჩვენებით, საეკლესიო ქონებად გაესაღებინათ. ცრუმოწმე გაიოზი კვეხნით იხსენებს თავის წერილში, რომ **„როცა ჩხრეკის დროს მკითხეს, თუ რა არის ამ სახლში ეკლესიისაო, მე ვუპასუხე: რასაც ხედავთ ყველაფერი ეკლესიისააო“.** მოწმეც ასეთი უნდა! **მაგრამ მან ჯერ იმაზე უნდა გასცეს პასუხი, თუ მანგლისიდან, სადაც იგი მღვდლად მსახურობდა, ვის მიერ იქნა გამოძახებული საპატრიარქოში და ვისი დავალებით ელოდებოდა ჩემს დაპატიმრებას ჩხრეკაში მონაწილეობის მისაღებად?** დღეს იქნება, თუ ხვალ, მას მოუწევს ამაზე სწორი პასუხის გაცემა, რაც ფარდას ახდის, თუ რა მასშტაბის შეთქმულება იყო მომზადებული **მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილის** წინააღმდეგ... თუნდაც ეს ერთი დეტალი, რაც **მღვდელ ალექსანდრე გულიაშვილს** უკავშირდება, არის თუ არა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის კანონის უხეში დარღვევა, როცა მღვდელი წინასწარ გაფრთხილებულია პირის დაკავებაზე და თანამშრომლობს სადამსჯელო ორგანოებთან? **განა არ არის კონსტიტუციური კანონის დარღვევა ის, რომ სასამართლო პროცესზე ჩემს წინააღმდეგ გამოსულ მოწმეთა უმეტესი ნაწილი მღვდლების ჩათვლით, შსს-ს და კგბ-ს აგენტურას წარმოადგენდა?** ნუთუ წარმოსადგენია, რომ **შევარდნაძის პოლიტიკური რეჟიმის** ნება-სურვილის წინააღმდეგ ისინი წავიდოდნენ და ისეთ ჩვენებას მისცემდნენ, რაც მე, ამ რეჟიმის მიერ დაპატიმრებულს, გამამართლებდა? ეს ხომ სრულიად გამორიცხულია! **მღვდელს, რომელიც ჩემს წინააღმდეგ ჩვენებას არ მისცემდა, უბრალოდ, გააგდებდნენ ეკლესიიდან და მშიერ-მწყურვალი დარჩებოდა. ამიტომაც საქმეზე დაკითხულ მღვდლებს არჩევანი არ ჰქონდათ — ან ტყუილი, ან არადა — გაგდება ეკლესიიდან.**

მღვდელი **ზ. ცხვარაძე,** როდესაც მისგან ნაჩუქარ ხატთან დაკავშირებით, უშიშროების იზოლატორში მოიყვანეს, ამ ფაქტის უარყოფის შემდეგ როცა იზოლატორიდან გაჰყავდათ, სულ **„მაპატიე-მაპატიეს“** ჩურჩულებდა ჩემს გასაგონად. ასევე **მღვდელი ბაბი მოსეშვილი,** გათავისუფლების შემდეგ პლეხანოვზე შემხვდა, ჩაიკრა ჩემი მარჯვენა ხელი გულში და პატიებას მთხოვდა. პატიებას მთხოვდნენ **წამალაიძე, ანანიაშვილი, მახარაძე, ქათამაძე** და სხვები, გარდა **დავით ჭკადუასი,** რომელიც ჩემი სტიქაროსანი იყო ქვაშვეთში, მაგრამ საპატრიარქოში რომ შემხვდა და მივესალმე, მითხრა, ვერ გიცნობ(?!)...

**ზემოხსენებული კანონი რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, ძალაშია შესული, ვერცერთი ხელისუფლების პირობებში ვერ შევძელი, რომ ჩემს მიმართაც ამოქმედებულიყო. ყოველთვის უხილავი ხელი ბლოკავდა მას.** თვით ის ფაქტი, რომ **ალადაშვილ-გვარამიას** ინტერვიუებით მობეზრებულ მკითხველს, რომელმაც ისედაც შესანიშნავად იცის, ვინ არიან ეს ვაჟბატონები, რომლებსაც ჯერაც არ შეშრობიათ უამრავი უდანაშაულო ადამიანის სისხლი, ბუნებრივია, გაუჩნდებათ კითხვა — **ვის და რა მიზნით გამოჰყავს ავანსცენაზე საბჭოთა წარსულის ეს ჩირქიანი გადმონაშთები?** მათი ადგილი ისტორიის სანაგვეზეა, მაგრამ ისინი, ვინც სანაგვეში იქექებიან, უმალ წააწყდებიან ხოლმე ასეთებს, რეანიმაციას უკეთებენ, ფერ-უმარილით გათხუპნავენ და ყვითელ ბაზარზე მიათრევენ გასასაღებლად. მაგრამ უნდა დავამშვიდო მავანი ავისმოსურნე: **ბატონებო, საქმე, რომელიც თქვენი ნება-სურვილით შეკერეთ, დაიშლება და ხელმეორედ აიკინძება სტრასბურგის(!) სასამართლოში** — ამის პირობას მე გაძლევთ, რადგან არ მინდა, ისე წავიდე ამქვეყნიდან, რომ სამართალი ვერ ვნახო, თქვენგან თითქმის 40 წლის მანძილზე წართმეული!



ჩვენს ხელთაა ეფრემ მეორის გარდაცვალებამდე ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე (9 მარტი,1972 წ. №23) შედგენილი მიმართვა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულ დ. შალუტაშვილისადმი, რომლითაც წინასწარ თადარიგს ვიჭერთ და ვთხოვთ, დაავალოს სინოდს, საპატრიარქოს ქონების აღწერა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ რომანოზის თავმჯდომარეობით. მიმართვას ხელს აწერენ მიტროპოლიტი დავითი, მიტროპოლიტი ილია და მიტროპოლიტი რომანოზი. კომისიის წევრებად დანიშნული იყვნენ სიონის დეკანოზი პ. ოზოლაძე, სვეტიცხოვლის დეკანოზი ვ. შალამბერიძე და პატრიარქის მდივანი, მღვდელმონაზონი გაიოზი.

***კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II სიონის საკათედრო ტაძარში ქადაგებისას***

**ბატონებო, საქმე, რომელიც თქვენი ნება-სურვილით შეკერეთ, დაიშლება და ხელმეორედ აიკინძება სტრასბურგის(!) სასამართლოში – ამის პირობას მე გაძლევთ, რადგან არ მინდა, ისე წავიდე ამქვეყნიდან, რომ სამართალი ვერ ვნახო, თქვენგან თითქმის 40 წლის მანძილზე წართმეული!**



მცხეთა, სვეტიცხოველი, 1977 წლის 25 დეკემბერი. **ილია მეორის ინტრონიზაცია. ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ:** საქართველოს პატრიარქი **ილია მეორე** და მიტროპოლიტი **გაიოზი**

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

დასაწყისი იხ. „ა–დ“ №40, 41

## რედაქციისაგან:

*მიტროპოლიტ* ***გაიოზ კერატიშვილის წერილმა — „საბჭოთა კაგებეს სიცრუის მანქანის დესტრუქციული მეტასტაზები გრძელდება“!*** *(იხ. „ასავალ-დასავალი“, 2015 წლის 14-20 სექტემბერი, №37 (1089) — მკითხველთა არნახული ყურადღება მიიპყრო. შევარდნაძის რეჟიმის მიერ დევნილი ეპისკოპოსის დამაჯერებელმა არგუმენტებმა ერთბაშად გააბათილეს ჯერ კიდევ 70-იან წლებში მის წინააღმდეგ შეთითხნილი ყველა ბრალდება, რომლებიც ცეკას იდეოლოგებმა და საბჭოთა უშიშროების ჯალათებმა დედა-ეკლესიის წინააღმდეგ გამოიყენეს. წითელი იმპერიის სადამსჯელო მანქანამ სცადა ფეხქვეშ გაეთელა* ***საქართველოს ეკლესიის მეორე პირის, წილკნელ-ურბნელი მიტროპოლიტის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქების — ეფრემ მეორისა და დავით მეხუთის ქორეპისკოპოსის, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის — საპატრიარქოს გამოცემათა რედაქტორის გაიოზ*** *(ერისკაცობაში ბიძინა)* ***კერატიშვილის*** *სახელი, რისთვისაც იგი 11 წლით დაღესტნის შრომა-გასწორების კოლონიაში გამოკეტა, მაგრამ ვერაფერი დააკლო მის შეუვალ სულს, მის სიწმინდეს, მის მოთმინებას...*

***დღეს საქართველოს ეკლესიის ყოფილი მაღალიერარქი ერთგვარად აჯამებს მის წინააღმდეგ წარმართულ 37-წლოვან კამპანიას,*** *რადგანაც იცის და ჩვენც მტკიცედ გვჯერა, რომ* ***„მართალი უკუნისამდე არა შეიძრას...“***



„თუ ეპისკოპოსს ბრალს სდებს მწვალებელი (ურწმუნო, ათეისტი), ნუ იქნება მიღებული ეს ბრალდება“.

**მოციქულთა კანონების 75-ე მუხლი. კონსტანტინოპოლის მე-2 მსოფლიო კრების მე-6 მუხლი. შდრ. კართაგენის ადგილობრივი კრების 59-ე მუხლი.**

## გაიოზ კერატიშვილი:

# შეთქმულება პატრიარქის წინააღმდეგ ჩაიშალა!

გასული საუკუნის 70-იან წლებში არსებული კანონმდებლობით, საეკლესიო ქონების აღრიცხვა ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის სავალდებულო იყო. ხელისუფლებისა და საპატრიარქოს პოზიცია ამ ნაწილში სრულიად ემთხვეოდა ერთმანეთს. ნებისმიერ მოქმედ ეკლესიაში 20-კაციანი აღმასრულებელი ორგანო მოქმედებდა (უამისოდ ეკლესიას დახურავდა ხელისუფლება), რომელთაც ამ ოცეულიდან არჩეული თავმჯდომარეები ჰყავდათ და რომელთა ერთ-ერთი მოვალეობა ტაძრის ქონების ინვენტარიზაცია და ეკლესიის შემოსავალ-გასავლის ზუსტი აღრიცხვა იყო. ყველა ეკლესიაში ზონარგაყრილი საინვენტარიზაციო წიგნი ინახებოდა, რომლის ერთი ეგზემპლარი შესაბამისი რაიონის აღმასკომშიც იდო, საიდანაც ეს ყოველივე სპეციალური წარმომადგენლის მიერ ყოველწლიურად მოწმდებოდა. მაგრამ მაშინდელი კანონმდებლობა საეკლესიო ნივთებს ორ კატეგორიად ჰყოფდა: **სახელმწიფო და პირად საკუთრებად.** ამიტომ, ისეთი სარიტუალო საგნები, როგორიცაა, მანტია, საცეცხლური, ჯვარი, პანაგია, კუნკულბარტყულა და სხვა ასეთები, მხოლოდ პირადი მოხმარებისა და საკუთრების ნივთებს წარმოადგენდა, რაც, ბუნებრივია, საინვენტარიზაციო წიგნებში ვერ აისახებოდა. **ჩემს განაჩენში ნაქურდალად და სახელმწიფო საკუთრებად დასახელებული საგნების თითქმის 50% ასეთი ხასიათის ნივთებს წარმოადგენს. და ეს იმ დროს, როცა ამ ნივთებიდან არცერთი საინვენტარიზაციო დავთრებში არ იხსენიება.** მაშ, რა საფუძველი ჰქონდა გამოძიებას დავედანაშაულებინე? პასუხი მარტივია: **მხოლოდ, დაკვეთა!** ჯერ გამომძიებელმა ქორიძემ ეს ყველაფერი დამალა, რათა იმ სცენარით განვითარებულიყო მოვლენები, როგორც დამკვეთებს აწყობდათ ზემდგომ ეშელონებში. არადა, **დამკვეთებიც და შემსრულებლებიც კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი იყო, რომელიც დიდი სიზუსტით, ერთი უხილავი ხელით მოქმედებდა.** ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ უხილავი ხელის უკან **უშიშროება** იდგა. წინასწარი გამოძიების პროცესში საერთოდ არ დაყენებულა საეკლესიო საინვენტარიზაციო წიგნების გამოთხოვის საკითხი. ამას არც სასამართლო მოითხოვდა, მაგრამ ჩვენი დაჟინებული თხოვნით, როგორც იქნა, კეთილი ინებეს და მოიტანეს ქონების საინვენტარიზაციო ჟურნალები, რომლებშიც ჩემი ბინიდან გამოძიების მიერ ამოღებული არცერთი ნივთი არ აღმოჩნდა. და მაინც, ამ ფაქტს არ მოუხდენია არავითარი გავლენა სასამართლო ძიების საბოლოო შედეგზე! ამდენად, გაუგებარია, სხვა რომელ სიებზე ლაპარაკობდა გამომძიებელი ქორიძე ცეკაში გაგზავნილ თავის საჩივარში?

**ორივე პატრიარქის – ეფრემ მეორისა და დავით მეხუთის სიკვდილი გარკვეულ ეჭვებთანაა დაკავშირებული და არცთუ მთლად უსაფუძვლოდ!**

**ცხადზე უცხადესია, რომ ხსენებულ საჩივარს სულ სხვა დატვირთვა და მისია ეკისრებოდა. ერთი მხრივ, ხელისუფლებიდან გვიფეთქებდნენ საპატრიარქოს, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებიდან უნდოდათ შეტევა განეხორციელებინათ.**

ცნობისათვის: იმ დროს, როდესაც გამომძიებელმა **ქორიძემ** ხსენებული საჩივარი საკუთარი ხელით მიიტანა ცეკაში, „ღვაწლმოსილ“ იურისტ **ვახტანგ გვარამიას** მონათხრობით, მას იქ დახვდა **ზვიად გამსახურდია,** რაც მეტყველებს იმაზე, რომ **ორივენი უშიშროების მიერ დაგეგმილი ოპერაციის მონაწილენი იყვნენ, საათებისა და წუთების გათვლით. და რომ, ცეკაში მათი „შემთხვევითი“ შეხვედრა დიდი სცენარის შემადგენელი ნაწილი იყო...** შემდეგ, როგორც ცნობილია, ქორიძის მიერ შეტანილი ეს საჩივარი, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე და, რა თქმა უნდა, **კგბ**-ს დახმარებით, გამოაქვს **ზ. გამსახურდიას** ცეკადან და იმავე **კგბ**-ს აგენტურის მეშვეობით აწვდის მიუნხენში რადიო „თავისუფლებას“.

მე სისტემატურად ვუსმენდი „ამერიკის ხმასა“ და „თავისუფლებას“ და როცა ჩემი ყურით გავიგონე საპატრიარქოს გაქურდვის „დეტალები“ თუ „მოპარული“ ნივთების სია, შოკში ჩავვარდი. სრულიად ნათელი შეიქმნა, თუ რა გაგრძელება ჰპოვა **შიზოიდ პროვოკატორის ილარიონ სამხარაძის** „ვიზიტმა“ ჩემს ბინაზე და რა რთული ანატომიისა და მნიშვნელობის იყო უშიშროების გამოგონილი **ლეგენდა საპატრიარქოს „გაქურდვის“ შესახებ.**

მიუხედავად ამ უზარმაზარი სიცრუისა, **მაშინდელმა უშიშროებამ ამ ზღაპრებით უდიდესი საქმე გაიკეთა. ერთი გასროლით რამდენიმე კურდღელი მოკლა და, რაც მთავარია, საპატრიარქოსთან დაკავშირებულ ამ საინტერესო „კრიმინალური“ ისტორიით, საზღვარგარეთის პროპაგანდისტულ ცენტრებთან კავშირზე გავიდა ზ. გამსახურდიას აქტიური მონაწილეობით.**

უნდა ითქვას, რომ **ზ. გამსახურდია** არც მალავდა თავის კონტაქტებს უშიშროების თანამშრომლებთან და ზოგიერთ მათგანს მეგობრადაც მოიხსენიებდა თავის წრეებში.

60-იან წლებში ჩვენც ვმეგობრობდით და ერთხელ ზ. გამსახურდიამ გამანდო, რომ მათი „დაუძინებელი მტერი“ უშიშროებიდან — **ვინმე კაციტაძე,** რუსეთში გადაიყვანეს და ვინც მის მაგივრად დანიშნეს, „ჩვენი კაციაო“... **როგორც გვიან მივხვდი, გამსახურდიას ამ სისუსტეს, ანუ მათი მუშაობის მეთოდების არცოდნას, ძალზე ოსტატურად იყენებდნენ მისი „მეგობრები“ კგბ-დან, რამაც საბოლოოდ დიდი ზიანი მასაც მიაყენა, ბევრს სხვასაც და, რაც მთავარია, ქვეყანას!**

ცეკაში გამომძიებელ ქორიძის მიერ გაგზავნილი საჩივრის საბოლოო მისია ამით არ ამოიწურებოდა. საბჭოური, ბიუროკრატიული აპარატის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარდა **კგბ**-სი, ამ ისტორიაში აქტიურად იყო ჩართული **მაშინდელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური სამსახური და მისი აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება.** და აი, აქ იხსნება კვანძი: ეს ორი უწყება, რომელიც ზ. გამსახურდიას ფაქტორს ერთობ ეფექტურად იყენებდა, ამ დისიდენტური სუროგატის დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებისათვის მიწოდებით და ჩემთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, კრიმინალის იარლიყის მოწებებით, პრევენციას ახდენდა, რათა ჩემი დაპატიმრების შემთხვევაში, ნაცნობთა თუ უცნობთა მხრიდან, არ გამომჩენოდნენ მხარდამჭერები დასავლეთის საეკლესიო და სამოქალაქო წრეებში და არ ალაპარაკებულიყვნენ სასულიერო პირთა დევნაზე საქართველოში! **დიახ, არსებობდა გარკვეული რისკი, გაშიფრულიყო მთელი მათი აგენტურა და შევარდნაძის ხელისუფლების ის დანაშაულებრივი სქემები, რასაც ახორციელებდნენ მაშინდელი საპატრიარქოს წინააღმდეგ.**

**ცეკა-კგბ-გამსახურდიას „ტროიკა“ წარმატებით მუშაობდა, ხოლო როცა დავით მეხუთემ ხელისუფლების ერთ წარმომადგენელს ჰკითხა, თუ რატომ აპარპაშებდნენ იმ პირებს, რომლებიც ეკლესიას ლანძღავდნენ, მან მშვიდად უპასუხა — ჩვენ მილიონებს ვხარჯავთ, რათა ათეისტურ საზოგადოებად ჩამოვყალიბდეთ და თუ ვინმე დაგვეხმარება ამაში, მადლობასაც ვეტყვითო...** ამიტომაც, „თავისუფალ მინდორზე“ ჩემი დაუძინებელი მტრები წინასწარ ქმნიდნენ ჩემგან საქართველოს მოღალატის, მტრის, კრიმინალის, მკვლელის, აგენტის, ნარკომანის, სომეხის, უვიცისა და უწიგნურის ხატს და ავრცელებდნენ ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ.

ეტყობა, იყნოსეს დასავლელმა ექსპერტებმა, რომ უცხოეთში გამსახურდიას ხელით გავრცელებულ მასალებში **კგბ**-ს ხელი ერია და ჩემგან ინტერვიუს აღება ითხოვა ამერიკულ გაზეთ „კრისჩენ საიენ მონიტორის“ მოსკოველმა კორესპონდენტმა ელისაბედ პონდმა. მას აინტერესებდა საქართველოს ეკლესიის ორგანიზაციულ-იერარქიული მოწყობა და სხვა საკითხები, ვინაიდან დასავლეთში სულ სხვა სახის ინფორმაცია ვრცელდებოდა.





**ფაქტია: დავით მეხუთეს არავისზე არ დაუტოვებია ანდერძი. ხელისუფლებას იგი დატერორებული ჰყავდა სიცოცხლის ბოლო თვეებში და იმის შიშით, რომ ანდერძის შედგენისას რაიმე ზეგავლენა არ მომეხდინა მასზე, საერთოდ ჩამომაცილეს პატრიარქს და სულ მალე გარდაიცვალა კიდეც!**

თბილისში ამ მიზნით სპეციალურად ჩამოსულმა ქალბატონმა ყურადღებით მომისმინა და ფრიად გაკვირვებული დაბრუნდა უკან. **ამერიკული გაზეთის მოსკოველი კორესპონდენტის შეხვედრის მიზეზი, ალბათ, მოსკოვში ამერიკის საელჩოს თანამშრომლებთან გამსახურდიას კავშირი იყო, რომლებთანაც მისი ურთიერთობა არა უბრალო ნაცნობების მეშვეობით მოხდა, როგორც „მონანიებაში“ აცხადებს, არამედ კგბ-ს აგენტურის აქტიური დახმარებით, და რომ მოსკოვის უშიშროებას ყველა მათი შეხვედრა მკაცრ კონტროლზე ჰყავდა აყვანილი, რაც ამერიკის დაზვერვას, როგორც ჩანს, არ გამოჰპარვია...**

ამერიკის საელჩოს თანამშრომელთა გასამართლებისას გამსახურდიას გამოსვლამ სასამართლო პროცესზე ამერიკელთა ეჭვები დაადასტურა. ამიტომაც მას შემდეგ, რაც გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი გახდა, ამერიკის დამოკიდებულება მისი პიროვნების მიმართ არაერთგვაროვანი იყო, თუმცა, საქართველოს დამოუკიდებლობას და მის ცნობას ცალსახად უჭერდა მხარს.

საქართველოს ეკლესიის შესახებ დისკუსია იყო გამართული **ინგლისურ პრესაშიც.** ცნობილი ქართველოლოგი, პროფესორი **დავიდ მარშალ ლანგი** დეპეშას გვიგზავნიდა თბილისში, რათა სასწრაფოდ გვეცნობებინა მისთვის პატრიარქ **დავით მეხუთის** ჯანმრთელობის შესახებ... 1977 წლის ოქტომბერში ინგლისიდან გვესტუმრა და პირადად მე ვუმასპინძლე კენტერბერიის არქიეპისკოპოსის მრჩეველს მაიკლ მურს, რომელთანაც 4-საათიანი საუბარი მქონდა და კმაყოფილმა კომპეტენტური საეკლესიო ექსპერტი მიწოდა. ამ მეტად საინტერესო პიროვნებამ ინგლისურ პრესაში ატეხილი ხმაურის თბილისელ ავტორებს პასუხი იმით გასცა, რომ გამგზავრების წინ ტაასის კორესპონდენტი გამოიძახა და საჯაროდ უღრმესი მადლობა გადამიხადა პირადად მე. როცა ეჩმიაძინში, სომხეთის პატრიარქ ვაზგენ პირველის ინტრონიზაციის 20 წლისთავზე გახლდით საქართველოს დელეგაციასთან ერთად, რომელსაც პატრიარქი დავით მეხუთე ხელმძღვანელობდა და რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელ სტუმრებზე, ინგლისიდან ჩამოსული დელეგაციის წევრებმა გაგვიმხილეს, რომ ინგლისურ პრესაში შეურაცხმყოფელი წერილები დაიბეჭდა ქართველ იერარქებზე. ჩვენი თხოვნის საფუძველზე ეს მასალები თბილისში გადმოგვიგზავნეს, ოღონდ იქაურმა საკათალიკოსომ უშუალოდ მე კი არ მომაწოდა, არამედ რელიგიის საქმეთა საბჭოში გამოაგზავნა ჩემს სახელზე, სადაც რწმუნებულმა ონოფრიშვილმა პაკეტი დააცარიელა, ხოლო მასალები ცეკას ან უშიშროებას გადასცა, რათა თავი მოეწონებინათ, რა სუფთად მუშაობდნენ... **მასალები, რამაც ჩემამდე მოაღწია, იძლეოდა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ გამსახურდიას ინგლისელი „კოლეგებიც“ საბჭოთა კგბ-ზე მუშაობდნენ. ანალოგიურად, რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციაც არ განიცდიდა კგბ-ს აგენტურის დეფიციტს...**

სწორედ ამ ხანებში, როგორც ჩანს, ცეკას სპეციალური დავალებით, პატრიარქ დავით მეხუთეს „ესტუმრნენ“ საქართველოს უშიშროების თანამშრომლები, მეც დამიძახეს მის კაბინეტში და პატრიარქის არჩევის საკითხებზე კითხვები დამისვეს. მივხვდი, ვისგან და რატომ მოდიოდა ეს ინიციატივა. ჩემი ანალიზით, უკვე მომზადებული იყო იდეოლოგიური ფონი პატრიარქის გადასაყენებლად და მტრები საბოლოო დარტყმისათვის ემზადებოდნენ. მე სასწრაფოდ გავედი კანცელარიაში და საქმეებიდან ამოვიღე **ეფრემ მეორის** ხელით დაწერილი ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც სტუმრებს გადავეცი. მათ ეს დო-

1977 წელი, სიონი, პატრიარქი დავით V მწირველ სამღვდელოებასთან ერთად.
**მარცხნიდან:** ***ეპისკოპოსი გიორგი ღონღაძე, არქიმანდრიტი პართენ აფციაური, მიტროპოლიტი გაიოზი, პროტოპრესვიტერი პახუმ ობოლაძე, ალავერდელი ეპისკოპოსი გიორგი ცერცვაძე, პატრიარქი დავით V, მიტროპოლიტი ზინობი***



კუმენტი წაიღეს და, ცხადია, გააცნეს ცენტრალურ კომიტეტს, რის შემდეგ ერთბაშად შეწყდა კათალიკოსის წინააღმდეგ გაჩაღებული ფარული ომი მისი არჩევის არალეგიტიმურობაზე... **სწორედ იმ ერთმა ფარატინა ფურცელმა იხსნა დავითი გადაყენებისგან, სამაგიეროდ, მახვილალმართულ მტრებს მე შევრჩი ხელთ და უფრო ენერგიულად შემომიტიეს.** სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული თენგიზ ონოფრიშვილი, რომლის პერსონა წინა წერილშიც დავახასიათეთ, სამსახურებრივად სამ უწყებას ემორჩილებოდა — **მოსკოვის რელიგიის საქმეთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებას და სახელმწიფო უშიშროების შესაბამის განყოფილებებს.** მის შესახებ უამრავი საჩივარი არსებობდა, მაგრამ ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება და მისი კურატორი **გ. ბედინეიშვილი** კბილებით იცავდნენ. იკითხავთ, საიდან ვიცი ყოველივე ეს? ჩემთან მეგობრობდა პროფესიით ფიზიკოსი და უაღრესად განათლებული პიროვნება, რომელიც იმხანად აღნიშნულ განყოფილებაში მუშაობდა. სწორედ მისგან ვიცოდი, რაც ამ განყოფილებაში ხდებოდა... მისი მოკლე დახასიათებით, იქ გამეფებული იყო სრული უსაქმურობა, დილიდან საღამომდე ჭადრაკს თამაშობდნენ და, რაც მთავარია, ყველანი „ჩეკისტები" იყვნენ. იმასაც ამბობდა, რომ კლიმატს ცენტრალურ კომიტეტში უშუალოდ უშიშროება ქმნიდა...

**საპატრიარქოში ამერიკელ კორესპონდენტთან შეხვედრის შემდეგ, თ. ონოფრიშვილი ყოველთვის ცდილობდა, დისტანცირებული ვყოფილიყავი უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებისაგან, არ შევხვედროდი და არ მესაუბრა მათთან, რაც ხან გამოსდიოდა და ხან — არა.** სწორედ ზემოხსენებულ **ილარიონ სამხარაძისგან** ქრთამის სახით აიღო 3000 მანეთი და სთხოვა პატრიარქს მისი ეპისკოპოსად კურთხევა, ვითომც „საჩივრები რომ აღარ წეროსო". **პატრიარქმა უარი ვერ უთხრა, მაგრამ, პროტესტის ნიშნად, მის კურთხევას თავად არ დაესწრო** (ცუდი სიტყვებით მოიხსენია ილარიონი) **და სინოდის წევრებს აკურთხებინა იგი...** ილარიონის „კურთხევის" შემდეგ, უცხოეთიდან ჩამოსული დელეგაციების მიღება-გაცილებაში მან გამორჩეული ადგილი დაიკავა. მავანი დღეს ავრცელებს ცნობას, ვითომც **დავით მეხუთემ** მოსაყდრედ **ილარიონ სამხარაძე** აირჩიაო, რაც სრული სიცრუე და სიბეცეა. დავითს მისი დანახვაც კი არ სურდა, ვინაიდან სამხარაძის „დანოსებმა" უამრავი კითხვა გააჩინა და ცუდად იმოქმედა მხცოვან პატრიარქზე! ფაქტია: **დავით მეხუთეს** არავისზე არ დაუტოვებია ანდერძი. ხელისუფლებას იგი დატერორებული ჰყავდა სიცოცხლის ბოლო თვეებში და იმის შიშით, რომ ანდერძის შედგენისას რაიმე ზეგავლენა არ მომეხდინა მასზე, საერთოდ ჩამომაცილეს პატრიარქს და სულ მალე გარდაიცვალა კიდეც! ამდენად, **ილარიონ სამხარაძის** მოსაყდრეობის ლეგენდა მდარე მოხმარების სიყალბეა და არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია.

2002 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ ჩასულ ერთ-ერთ პროფესორს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი **ლუკას ფიშერი** გაკვირვებული უყვებოდა, რომ საქართველოში სტუმრობისას, **„ილარიონი სულ უკან დამდევდა და ტუალეტშიაც(!) კი შემომყვაო"...**

მისმა მანიაკალურმა მიდრეკილებამ დასმენებისადმი, რაც, ეტყობა, სამოქალაქო, პარტიული სამსახურიდან ჰქონდა გამოყოლილი, პირადად მე უდიდესი ზიანი მომიტანა. სხვათაშორის, დაღესტნის შრომა-გასწორების კოლონიაში მან ვრცელი წერილიც გამომიგზავნა და ნიშნის მოგებით მწერდა: **„ილია ოქროს ჯაჭვით მყავს დაბმული, ხოლო შენ მანდ გამომწყვდეულიო"...** ამ სიტყვების დამწერს ეყო თავხედობა, რამდენიმე წლის წინათ ჩემთან მოსულიყო სახლში სასაუბროდ, კვლავ ინტრიგებში მიპირებდა ჩათრევას და სადღაც სუფრაზე მეპატიჟებოდა...

საყურადღებოა ასეთი შემთხვევაც: 1977 წელს საქართველოს საპატრიარქომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსაგან მიიღო მიწვევა ბიბლიის საკითხებზე ევროპის სემინარში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ტარდებოდა პრაღაში. პატრიარქმა დავით მეხუთემ დამავალა, წავსულიყავი და მოხსენება გამეკეთებინა. სამკაციანი დელეგაცია მოსკოვში გავემგზავრეთ, მაგრამ იქაურ რელიგიის საქმეთა საბჭოში მეუბნებიან, რომ **არქიმანდრიტ ნიკოლოზ მახარაძის** და **დეკანოზ ამირან შენგელიას** პასპორტები მზადაა, ხოლო ჩემი — არა! გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, თუმცა, მაშინვე დავასკვენი, რომ ამაში თბილისიდან თ. ონოფრიშვილის ხელი ერია. დავუკავშირდი ერთ თბილისელ კაცს, რომელიც მოსკოვში მაღალ თანამდებობაზე მსახურობდა (მისი ტელეფონი ცნობათა ბიუროს მეშვეობით მოვიპოვე), ავუხსენი საქმის ვითარება და დახმარება ვთხოვე. ხვალ დამირეკეო — მითხრა. **როცა დავურეკე, ამიხსნა, რომ ჩემი საზღვარგარეთული პასპორტი დიდი ხნის გამზადებული იყო და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში იდო, რომლის გატანასაც სპეციალურად აყოვნებდა მოსკოვის რელიგიის საქმეთა საბჭო თბილისის მითითებით.** პრაღის რეისამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა, ამიტომ საბჭოს აპარატის ორმა თანამშრომელმა თავიანთი სამსახურებრივი მანქანით გამაცილეს და მომიბოდიშეს კიდეც — **თბილისში ვიღაცას არ მოსწონხარო... თბილისში, ონოფრიშვილის დაჯგუფება მოელოდა, რომ პასპორტს არ მომცემდნენ და შერცხვენილი დავბრუნდებოდი უკან, რასაც ათასგვარ ჭორსა და სიბინძურეს მოაყოლებდნენ... მაგრამ მათი ჩანაფიქრი ჩაიშალა...** გამწარებულმა თ. ონოფრიშვილმა დეტალური ახსნა-განმარტება მოსთხოვა **ნიკოლოზ მახარაძეს,** რათა მოეხსენებინა თავისი „კოლეგებისთვის", რანაირად მოვახერხე პრაღაში ჩასვლა და იქ მოხსენების წაკითხვა, რასაც დიდი მოწონება ხვდა წილად და მადლობის წერილიც კი გამომიგზავნეს ჟენევიდან... ეს ჩემი პირველი და უკანასკნელი გასვლა იყო საზღვარგარეთ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში...

**მახარაძის ხელით დაწერილმა „დანოსმა"** ონოფრიშვილის კანცელარიიდან ჩემამდე მოაღწია, რაც „შესანიშნავი" საბუთია იმისათვის, თუ რა მძიმე და აუტანელ პირობებში მამყოფებდნენ **შევარდნაძის რეჟიმის** მექრთამე ჩინოვნიკები! მიუხედავად ასეთი საშინელი ზეწოლისა, დღე-ღამეს ვასწორებდი და ვასრულებდი პატრიარქის ქორეპისკოპოსის მოვალეობას, წარვმართავდი საგამომცემლო და სასულიერო სემინარიის საქმეებს, რომლის რექტორიც გახლდით 1972-1977 წლებში... **არქიმანდრიტი მახარაძე** იმდენად უწიგნური იყო ეკლესიურად, რომ „დანოსში", სადაც ხაზგასმით მდებდა ბრალს რუსების სიძულვილშიც, ონოფრიშვილს „ამხანაგო"-თი მიმართავდა. თუმცა, მიმართვის ამ საბჭოურ ფორმაში სიმართლის მარცვალი მაინც იდო. ორივე შეთანხმებულად, სწორედ **ამხანაგურად** მოქმედებდა ჩემს წინააღმდეგ!

როცა მასამართლებდნენ (**სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის კანონის უხეში დარღვევით**), უკვე **მიტროპოლიტის ხარისხში აღზევებული მახარაძე,** რომელიც ბოლოს განკვეთეს ეკლესიიდან და იძახდა, **„გაიოზის ცოდვამ მიწიაო"** — თ. ონოფრიშვილმა საზოგადოებრივ ბრალმდებლად წამოასკუპა სამსჯავრო პროცესზე და მანაც პირნათლად შეასრულა დავალება: **მღვდელთმთავარმა მღვდელთმთავრის დახვრეტა მოითხოვა, რითაც ხარკი გაიღო მოძალადე, პირსისხლიანი შევარდნაძის რეჟიმის მიმართ.** მახარაძის ერთ-ერთი მთავარი მისია პროცესზე ჩვენებების მიცემისას მოწმეებად გამოსულ სასულიერო პირთა ჩეკისტური გაკონტროლება იყო.

საერთოდ, სასულიერო პირებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება ბოლო პერიოდის საქართველოში, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ კანონის კონტექსტიდან იყო ამოვარდნილი. ვინც თვალში არ მოუვიდოდათ, რასაც უნდოდათ, იმას დააბრალებდნენ. ეს პროცესი ერთბაშად არ დაწყებულა და **ამაზე უარესი მდგომარეობა იყო გასაბჭოების პირველ დღეებშიც — მაშინაც განძსა და ოქრო-ვერცხლს ედავებოდნენ სამღვდელოებას. მერე ანტისაბჭოთა პროპაგანდის მუხლით იჭერდნენ და ასამართლებდნენ. პატრიარქი ეფრემი** ეპისკოპოსობის დროს დააპატიმრეს 1937 წელს და 11 წელი მიუსაჯეს, საიდანაც 7 წელი ჩრდილოო ურალის ტყის მჭრელთა კოლონიაში გაატარა. საშინელ ამბებს ჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ 1944 წელს რაღაც სასწაულით კრემლის ფოსტაში სტალინის სახელზე დაწერილი მისი განცხადება მოხვდა (კოლონიიდან განთავისუფლებულ პატიმარს გამოატანა). გადაისინჯა მისი განაჩენის კანონიერება და გაათავისუფლეს. **ის, რაც მან საბჭოთა პერიოდში სტალინის დროს შეძლო, ჩემთვის შეუძლებელი აღმოჩნდა შევარდნაძის რეჟიმისა და თავისუფალი საქართველოს პირობებში(!).** პატრიარქ ეფრემ მეორეს საშინლად სძულდა საბჭოთა რეჟიმი, მაგრამ ხელისუფლებასთან კომპრომისების გზით ახერხებდა ეკლესიის სასიცოცხლო ინტერესების დაცვას და მთლიანობაში მის გადარჩენას. იტყოდა ხოლმე, **„მცირე დათმობით ბევრის მოგებაო". საბჭოური რეჟიმი მის მიმართ ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი, ვინაიდან გახლდათ ფართო განათლებისა და კომპეტენციის საეკლესიო მოღვაწე, იშვიათი მქადაგებელი, უბრალოების განსახიერება და გულისხმიერი იერარქი.** პირი, რომელსაც მთელი თავისი სისავსით გაცნობიერებული ჰქონდა არსებულ სინამდვილეში როგორც თავისი მდგომარეობა, ასევე პასუხისმგებლობა ეკლესიასა და ისტორიის წინაშე. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ (მასთან ერთად სწავლობდა გიორგი ლეონიძე) სწავლა თბილისის ახლად გახსნილ უნივერსიტეტში გააგრძელა — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი და სხვები. მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების მეცნიერების დოქტორის ხარისხი, „ჰონორის კაუზა". მისი პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც ბათუმში იყო დაცული, 20 000-ზე მეტ წიგნს ითვლიდა, რომელთაგან უმეტესი წაკითხული და დამუშავებული ჰქონდა. **ღრმად ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალულმა მისმა ქადაგებებმა, რომელთა მოსასმენად საქართველოს შორეული კუთხეებიდანაც მოდიოდნენ სიონში, დიდი თავსატეხი გაუჩინა ათეიზმის მქადაგებელ მაშინდელ ხელისუფლებას.** მისი წირვა ცისა და მიწის გამთლიანება და უდიდესი ზეიმი გეგონებოდათ. ბრწყინვალედ იცოდა ლიტურგიკა და ხელოვნების უმაღლეს დონეზე ჰყავდა აყვანილი. დიდად აფასებდა განათლებულ ადამიანებს. მის უახლოეს გარემოცვაში ყოველთვის ჩანდნენ მისი დროის ქართული მეცნიერების ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლები — კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, შალვა ამირანაშვილი, ავლიპ ზურაბაშვილი და მრავალი სხვა, **რაც, ბუნებრივია, გამაღიზიანებელი იყო ათეისტური ხელისუფლებისათვის და უამრავ ხრიკსა და ხერხს მიმართავდნენ, მოეხდინათ მისი პიროვნების დისკრედიტაცია.** ე.წ. დისიდენტური მოძრაობა, რომელიც თავიდან აღმერთებდა ეფრემ მეორეს, რამდენიმე წლის შემდეგ ადვილად წამოეგო ანტირელიგიურ-პროპაგანდისტურ ანკესს და ხელისუფლების დაკრულზე ლანძღავდა მას, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც მრავლადაა შემორჩენილი სხვადასხვა წყაროებში. **„ახლა ასეთი დროა, იერარქებს ყროს გვირტყამენ თავებში!"** — იტყოდა ხოლმე. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ სასტიკი უარი სტკიცა სინოდს, რათა შესაფერისად აღნიშნულიყო ეფრემ მეორის დაბადებიდან 70 წლისთავი, მაგრამ შეუდრეკელი პატრიარქი არაფრის დიდებით არ ეპუებოდა რეჟიმის სისასტიკეს და მზად იყო, გადამდგარიყო კიდეც, თუ ამისი საჭიროება შეიქმნებოდა. იგი შესანიშნავად ფლობდა დიპლომატიის ხელოვნებასაც. როცა 1963 წელს „ახალი აღთქმის" გამოცემა გადაწყვიტა, ამის აუცილებლობა იმით დაუსაბუთა ხელისუფლებას, რომ გვაქვს ძველი გამოცემები, მაგრამ პირველსავე გვერდზე რუსეთის იმპერატორისა და საიმპერატორო ოჯახის წევრთა სახელებია დაბეჭდილი და მრევლს არ მოსწონსო. ეს, როგორც არგუმენტი, დამაჯერებელი აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის და ნებართვაც უყოყმანოდ გაიცა. ამას სიცილით იხსენებდა ხოლმე მერე პირად საუბრებში. **არადა, ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების წლებში „ახალი აღთქმის" პირველი აკადემიური გამოცემა, რომლის კორექტურა თავად ა. შანიძემ იტვირთა.**

ეფრემი ქართულ ეკლესიაში სამართლიანობის დამკვიდრების სიმბოლოდაც იქცა. როგორც კი მე-10 საეკლესიო კრებაზე პატრიარქად აირჩიეს, წინა პატრიარქ **მელქისედეკ მესამის** დროს ხელისუფლების მიერ ინიცირებული დაპირისპირების შედეგად სამი განკვეთილი სამღვდელო პირის **მექი ხელიძის, ამბროსი ახობაძის** და **ივანე საყვარელიძის** საქმეები გადასინჯა და სამივე დააბრუნა ქართული ეკლესიის წიაღში... ძალიან იშვიათად, რომ ეფრემ მეორე ექიმთან მისულიყო. არ ენდობოდა, ვინაიდან რუსეთში ცნობილი იერარქის **ნიკალაი კრუტიცკის** მაგალითი, რომელიც ხრუშჩოვის დროს საავადმყოფოში მოწამლეს და გარდაიცვალა, ბევრისთვის გაფრთხილება იყო. **„აგერ, ნიკალაი კრუტიცკის რა უყვეს",** — იტყოდა ხოლმე. ექიმების შიში ამავე მიზეზის გამო **დავით მეხუთესაც** ჰქონდა. **ორივე პატრიარქის სიკვდილი გარკვეულ ეჭვებთანაა დაკავშირებული და არცთუ მთლად უსაფუძვლოდ (გამოსავალი აქ ისაა, რომ მათი საფლავები გაიხსნას და ექსპერტიზა ჩაუტარდეთ მიცვალებულებს)...**

გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა ტერორის პირველი მსხვერპლი **ამბროსი კათალიკოსი** იყო, რომელიც, ფაქტობრივად, მოაკვლევინეს სამღვდელოების რეაქციულ წარმომადგენლებს. **ლეონიდე კათალიკოსსაც,** როგორც პროფ. **ს. ვარდოსანიძე** წერს, მტკვრის წყალი დაალევინეს და ეს გახდა მისი გარდაცვალების მიზეზი, რაც გარკვეულ ეჭვებს იწვევს. **ამბროსი კათალიკოსის მთელი საბრალდებო საქმე, რომელსაც დახვრეტა ჰქონდა გამოტანილი და შემდეგ, ეკლესიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოს — საკათალიკოსო საბჭოს ლიკვიდაცია, ეკლესიიდამი საბჭოური ხელისუფლების მტრული დამოკიდებულებისა და პოლიტიკის ნათელი დადასტურება იყო.**

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***




**1977 წლის ოქტომბერში ინგლისიდან გვესტუმრა და პირადად მე ვუმასპინძლე კენტერბერიის არქიეპისკოპოსის მრჩეველს მაიკლ მურს, რომელთანაც 4-საათიანი საუბარი მქონდა და კმაყოფილმა კომპეტენტური საეკლესიო ექსპერტი მიწოდა. ამ მეტად საინტერესო პიროვნებამ ინგლისურ პრესაში ატეხილი ხმაურის თბილისელ ავტორებს პასუხი იმით გასცა, რომ გამგზავრების წინ ტასის კორესპონდენტი გამოიძახა და საჯაროდ უღრმესი მადლობა გადამიხადა პირადად მე!**

დასაწყისი იხ. „ა-დ“ №40-42



## რედაქციისაგან:

*მიტროპოლიტ* ***გაიოზ კერატიშვილის წერილმა — „საბჭოთა კაგებეს სიცრუის მანქანის დესტრუქციული მეტასტაზები გრძელდება“!*** *(იხ. „ასავალ-დასავალი“, 2015 წლის 14-20 სექტემბერი, №37 (1089) — მკითხველთა არნახული ყურადღება მიიპყრო. შევარდნაძის რეჟიმის მიერ დევნილი ეპისკოპოსის დამაჯერებელმა არგუმენტებმა ერთბაშად გააბათილეს ჯერ კიდევ 70-იან წლებში მის წინააღმდეგ შეთითხნილი ყველა ბრალდება, რომლებიც ცეკას იდეოლოგებმა და საბჭოთა უშიშროების ჯალათებმა დედა-ეკლესიის წინააღმდეგ გამოიყენეს. წითელი იმპერიის სადამსჯელო მანქანამ სცადა ფეხქვეშ გაეთელა* ***საქართველოს ეკლესიის მეორე პირის, წილკნელ-ურბნელი მიტროპოლიტის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქების — ეფრემ მეორისა და დავით მეხუთის ქორეპისკოპოსის, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის — საპატრიარქოს გამოცემათა რედაქტორის გაიოზ*** *(ერისკაცობაში ბიძინა)* ***კერატიშვილის*** *სახელი, რისთვისაც იგი 11 წლით დაღესტნის შრომა-გასწორების კოლონიაში გამოკეტა, მაგრამ ვერაფერი დააკლო მის შეუვალ სულს, მის სიწმინდეს, მის მოთმინებას...*

***დღეს საქართველოს ეკლესიის ყოფილი მაღალიერარქი ერთგვარად აჯამებს მის წინააღმდეგ წარმართულ 37-წლოვან კამპანიას,*** *რადგანაც იცის და ჩვენც მტკიცედ გვჯერა, რომ* ***„მართალი უკუნისამდე არა შეიძრას...“***

„თუ ეპისკოპოსს ბრალს სდებს მწვალებელი (ურწმუნო, ათეისტი), ნუ იქნება მიღებული ეს ბრალდება“.

**მოციქულთა კანონების 75-ე მუხლი. კონსტანტინოპოლის მე-2 მსოფლიო კრების მე-6 მუხლი. შდრ. კართაგენის ადგილობრივი კრების 59-ე მუხლი.**

პასუხი: მე ეპისკოპოსი ვარ და ჯერ მეც კი ვერ წავსულვარ საზღვარგარეთ-მეთქი... როცა გავესაუბრე და მის სულიერ სამყაროში ჩავიხედე, შინაგანი მოწოდება, რომ გამხდარიყო სასულიერო პირი, ვერ აღმოვაჩინე და თხოვნაზე უარი ვუთხარი, რამაც, ბუნებრივია, გაანაწყენა. ეს ახალგაზრდა რელიგიის საქმეთა რწუნებულთანაც მივიდა, რომელსაც მე, როგორც სემინარიის რექტორმა, განვუმარტე — სემინარიაში მისი მიღებით პრობლემები შემექმნება და თუ მაინც მაიძულებთ, მაშინ მე თვითონ წამოვალ სემინარიიდან-მეთქი. მოკლედ, არ ჩავრიცხე. **მიუხედავად უარისა, მან ჩემთან კონტაქტი არ გაწყვიტა და ხშირადაც მსტუმრობდა ხოლმე. კარგი ოჯახიდან იყო. დედამისს პიონერთა სასახლიდან ვიცნობდი, როცა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში ვმონაწილეობდი სკოლაში სწავლისას. ეს ახალგაზრდა გახლდათ თემურ ჩიხლაძე.** ჩემი დაპატიმრების შემდეგ ისე, რომ არც კი დაინტერესებულან, რატომ ვუთხარი მას უარი სემინარიაში მიღებაზე, ჩარიცხეს, აკურთხეს კიდეც და მერე რა ტრაგედიაც დატრიალდა, ყველასათვის ცნობილია!

**მე დღესაც დიდ გულისტკივილს განვიცდი, იმის გამო, რომ იგი იმდენად გახსნილი იყო ჩემთან, აუცილებლად გამანდობდა თავის განზრახვას და აუცილებლად ხელს ავაღებინებდი ამ სურვილზე. შედეგად — გადარჩებოდნენ ყველანი, რომლებიც მერე ასე უმოწყალოდ გაიმეტა დასახვრეტად შევარდნაძის**

# გაიოზ კერატიშვილი:

# შეთქმულება პატრიარქის წინააღმდეგ ჩაიშალა!



**1977 წელი, სიონის საკათედრო ტაძარი.** მე-12 ადგილობრივი საეკლესიო კრების პრეზიდიუმი, პატრიარქი პიმენი, მიტროპოლიტი ილია, მიტროპოლიტი იუვენალი.
**მიტროპოლიტი გაიოზი აქვეყნებს კრების დეკლარაციას კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევის შესახებ.**

კომუნისტები მხოლოდ სასულიერო პირების დაჭერითა და ხოცვა-ჟლეტით არ კმაყოფილდებოდნენ — ხურავდნენ და ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, ხსნიდნენ ზარებს, რომ არ „შეეწუხებინა მშრომელები“, სახალხოდ ცეცხლში წვავდნენ საეკლესიო ჯვარ-ხატებსა და ლიტერატურას. გამოდიოდა **გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალური დამატება „ეკლესია და რევოლუცია“,** რაშიც თავადვე აღწერდნენ ამ საშინელებებს. დროის პარადოქსი და სხვაობა ისაა, რომ არცთუ დიდი ხნის გასვლის შემდეგ, ხატებისა და წიგნების ქურდობის ბრალდებით, პირადად მე — ეკლესიის უმაღლეს იერარქს ინკვიზიციურ სახალხო სასამართლოს მიწყობენ და ლამის კოცონზე მწვავენ. ყოველივე ამას, იდეოლოგიური სამსახურის დახმარებით სათავისოდ იყენებდა ცბიერი **ე. შევარდნაძე.** მას ამ დროს, სერიოზულად ჰქონდა ავტორიტეტი შერყეული ხალხში და საეკლესიო „განძის“ სპეკულაციით გარკვეულ დივიდენდებს იხვეჭდა. **ეკლესიის დაუძინებელი მტერი, რომელიც საეკლესიო დღესასწაულებზე რეიდებს აწყობდა, გზებს კეტავდა, ტაძრებში ხალხს არ უშვებდა და თვითნაკეთ ბომბებს აფეთქებინებდა, ახლა, საეკლესიო ხატებისა და წიგნების მცველადაც მოგვევლინა.** გაზეთ „ასავალ-დასავალისადმი“ მიცემულ ინტერვიუში მან არ დამალა, რომ კერატიშვილის დაპატიმრებაზე განკარგულება მე გავეციო, რაც უამრავ კითხვას ჰბადებს და პასუხს მოითხოვს! ყოველ შემთხვევაში, **ქვეყნის პირველი პოლიტიკური პირის მიერ დაპატიმრების დაკვეთა აშკარაა და მას იურისტების ენაზე პოლიტიკურ დაკვეთას უწოდებენ.** ამიტომ იყო, რომ სასამართლო პროცესის დაწყებამდე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორისა და აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ყოფილი გამგის **გიორგი ბედინეიშვილის** „სადირექტივო“ წერილი **„განძი“** დაიბეჭდა ჩემს საკითხზე ამავე გაზეთის მეოთხე გვერდზე. იგივე **ბედინეიშვილი,** დასავლეთში **ზ. გამსახურდიას წერილების** გამოქვეყნებას, რის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ, არა თავის პირად დანაშაულად, არამედ ჩემს დანაშაულად თვლიდა(?!) და მიმძიმებდა მდგომარეობას, რაც ძველი ჩეკისტური მეთოდი იყო. ამით იგი ალიბის იკეთებდა და მალავდა საკუთარ მონაწილეობას გამომძიებელ ქორიძის წერილის საზღვარგარეთ გატანაში, რის საპასუხოდ მე მას ღია წერილი გავუგზავნე ორთაჭალის ციხის მე-3 კორპუსის №65 საკნიდან...

37-იან წლებში რეპრესირებულმა და ნაწამებმა, განთქმულმა პროტოდიაკონმა, ქართული ეკლესიის სიამაყემ **ამბროსი ახობაძემ,** რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს საბჭოთა ბანაკებში, ისე გაატარა დარჩენილი ცხოვრება, რომ პატარა ოთახიც არ ღირსებია. ვერაზე, ერთ მორწმუნე რუსის ქალს იყო შეკედლებული. მამისეული სახლი ვიღაცისთვის მიეცათ და კანონის ფარგლებში უფლების აღდგენას თხოულობდა. რესპუბლიკის პროკურორ **პ. ბერძენიშვილთან** მისულიყო სიმართლის საძიებლად. მაგრამ, როგორც თავად მიამბო, მას გაბრაზებით უთქვამს: **„მღვდელი და კანონიო“?,** რის გამოც შემდეგ, პატრიარქ **ეფრემ მეორეს** სერიოზული კონფლიქტი მოუვიდა მასთან. სულ ჯოხი უბრახუნა, თურმე, მაგიდაზე... ასეთი სამართლებრივი დამოკიდებულება არსებობდა მაშინ სამღვდელოებასთან. 1937 წლის კონსტიტუციით, მართალია სამღვდელოება ხმის მიცემის უფლებით სარგებლობდა, მაგრამ პოლიტიკური და ანტირელიგიური რეპრესიების ინერცია იმდენად ძლიერი იყო, რომ თავად რესპუბლიკის პროკურორიც კი ვერ იცავდა სამღვდელოებისათვის კანონით მინიჭებულ სულ მცირე უფლებას... სწორედ ამგვარი მიდგომის შედეგი იყო 70-იან წლებში ერთ-ერთი მოსამართლის პოზიცია, რომელიც მან დააფიქსირა სასამართლო დარბაზში განაჩენის გამოტანის შემდეგ. მსჯავრდებულს, რომელმაც საკუთარი მამა, სიონის დეკანოზი **გიორგი ჩაჩუა** დანით მოკლა, პროცესის დასასრულ დარბაზში საჯაროდ უთხრა: — **7 წელს გაძლევ იმისთვის, რომ ერთი მღვდელი მოკალი, ორი რომ მოგეკლა — არაფერს მოგისჯიდიო (?!).** (მოსამართლის ეს სიტყვები მოისმინა და მერე მე მიამბო მსჯავრდებულის მასწავლებელმა **ლუბა მახვილაძემ**)... **პატრიარქ დავითის** ცნობით, **დეკანოზ გ. ჩაჩუას** გადარჩენა თურმე შეიძლებოდა, მაგრამ როგორც მღვდელს, ექიმებმა არ მიაქციეს ყურადღება და მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა.

**რა გასაკვირია, ყოველივე ამის ფონზე, რა განწყობაც იყო შექმნილი საბჭოურ საქართველოში, რა პოზიციას დაიკავებდნენ საბჭოური ორგანოები ჩემს მიმართ, მით უფრო, როცა ჩემს საქმეში ფული, და ძლიერთა ამაქვეყნისათა ხელი ერია....**

სამართლის ისტორიის უდიდეს პარადოქსად დარჩება მღვდელ **თემურ ჩიხლაძის** და თვითმფრინავის ბიჭების დახვრეტის ამბავი. **რომ არა ის უსამართლობა, რაც მე დამმართეს, ყველანი, რომლებიც თვითმფრინავის საქმეზე დახვრიტეს, დღესაც ცოცხლები იქნებოდნენ...**

მცხეთის სემინარიაში რექტორად ყოფნის დროს, **კუკიის წმიდა ნინოს ტაძრის მღვდელმა გაბრიელ ჩოჩოშვილმა** ჩემთან წარმოადგინა ერთი საინტერესო ახალგაზრდა, რომელსაც მცხეთის სემინარიაში მიღება სურდა. განსაკუთრებულად თანამედროვე და გახსნილი ახალგაზრდა იყო, რომელმაც პირველადვე ის მკითხა — **მღვდელი რომ გახდებოდა, შეეძლებოდა თუ არა საზღვარგარეთ გასვლა?** — რაზედაც ვუ-

**რეჟიმმა.**

და მაინც, ერთი რამ დღემდე დიდ გამოცანად რჩება ჩემთვის: შეუძლებელია მისი ამ საბედისწერო განზრახვის შესახებ არავისთან ჰქონოდა მონათხრობი, თუნდაც აღსარებაში მაინც, სასულიერო წრეებიდან, რომლებთანაც იგი ტრიალებდა და მეგობრობდა. **მრჩება შთაბეჭდილება, რომ იცოდნენ, მაგრამ უფსკრულს — სადაც მას გადაჩეხა და დაღუპვა ელოდა, არავინ გამოარიდა!** ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში თემურ ჩიხლაძე სახლში იყო და მაინც დახვრიტეს, მიუთითებს იმაზე, რომ შევარდნაძის რეჟიმის პირობებში ადამიანის სიცოცხლე არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. უშიშროების იზოლატორში დავითვალე და მაშინდელი სისხლის სამართლის კოდექსით 20-ზე მეტი მუხლი ითვალისწინებდა დახვრეტას. **„გეგმას“ ხომ შესრულება უნდოდა?.. ამიტომაც არსებობდნენ გვარამიები და ალადაშვილები — ეს სიკვდილის შავი ანგელოზები, რომლებიც დღესაც, როცა გაუქმებულია ადამიანის სიკვდილით დასჯა, არ ივიწყებენ თავიანთ ძველ პროფესიას, პრესის საშუალებით თავს მესხმიან და სიტყვითა მკლავენ!**

წინა წერილში დაპატიმრებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩემზე მოწყობილ თავდასხმაზე ვწერდი, როცა სიკვდილს სასწაულებრივად გადავურჩი... იმისთვის, რომ ესა თუ ის მოვლენა სწორად შევაფასოთ, შორიდან უნდა შევხედოთ და დროის დინამიკაში, მოვლენათა მთლიან კონტექსტში განვიხილოთ. **დღევანდელობიდან ასე ჩანს, რომ ჩემი დაპატიმრების ორგანიზატორებს ფიზიკური ლიკვიდაცია უფრო აწყობდათ, ვიდრე დაპატიმრება და ის სასამართლო პროცესი, რომელზეც არავინ იცოდა, რა შეიძლებოდა ამოტივტივებულიყო...** ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ჩემი ლიკვიდაციის მცდელობას უფრო ადრე, ზ. გამსახურდიას დაჭერის შემდეგ ჰქონდა ადგილი. როგორც ჩანს, დრო და კოორდინატები მიცემული ჰქონდა ჩემს ერთ-ერთ „მეგობარს“ **(გ.გ.),** რომელსაც ჩემი საკუთარი „გაზ-24“-ით ქორწინების სახლის მხარეს, სანაპიროთი მივყავდი მცხეთაში. სწორედ სანაპიროზე, ფსიქიატრიულ დისპანსერთან, სადაც ერთი პატარა დაღმართია, მოულოდნელად უშველებელი სატვირთო მანქანა გამოექანა და პირდაპირ ჩემი მანქანისკენ აიღო გეზი. ყველაფერი წამებში მოხდა, მძღოლმა იაზრა და სასწრაფოდ საპირისპირო მხარეს გადაიყვანა მანქანა, სადაც, საბედნიეროდ, არავინ მოძრაობდა და ასე გადავრჩით. იქვე ინსპექტორი იდგა, ის **მკვლელი მანქანა** გააჩერა, საიდანაც ახალგაზრდა, აცახცახებული კაცი გადმოვიდა... ვკითხე ვინაობა და — რუსთავიდან ვარო... ინსპექტორმა გაუშვა და მეც აღარ გამოვკიდებივარ. არადა, იმ ადგილზე არასოდეს არ მინახავს ინსპექტორი — მცხეთაშიც სულ იმ გზით დავდიოდი... მისი მაშინდელი მისიაც, ალბათ, ის იყო, რომ უბედური შემთხვევის შემდეგ ოქმში ჩაეწერა, ვითომც ჩვენი „ვოლგა“ შეასკდა სატვირთო მანქანას. არც ისაა გამორიცხული, რომ სულაც იმისათვისაც იდგა იმ ადგილას, რომ ჩემი მანქანა ეცნო და ნიშანი მიეცა მკვლელისათვის! **ეს იყო კარგად ორგანიზებული ტერორისტული აქტი, რომელიც გვარამიას დონეზე ვერ დაიგეგმებოდა, და რომელიც, საბედნიეროდ, ჩაიშალა...** მოსაკლავად რომ ვიღაც დამდევდა, ამას კიდევ ერთი გარემოება ადასტურებს: **როცა პატრიარქმა ილია მეორემ მცხეთიდან ქვაშვეთში გადმომიყვანა, კაბინეტი ტაძრის საკურთხევლის გარე მარჯვენა მხარეს მოთავსებულ პატარა კელიაში მქონდა, იქ, სადაც დავითი ცხოვრობდა, რომლის გისოსებიანი ფანჯარა ალექსანდროვის ბაღს პირდაპირ გაჰყურებდა, ხოლო საწერი მაგიდა და სკამი ზუსტად იმ ფანჯარასთან მედგა.** ჭოროხის ქუჩაზე თავდასხმის შემდეგ, საავადმყოფოდან ახალი გამოსული ვიყავი. ჭრილობები ჯერაც არ მქონდა შეხორცებული. **ერთ დღეს უცნობი მამაკაცი, რომელსაც ტაძარში ხშირად ვხედავდი ხოლმე, პირდაპირ შემოიჭრა კელიაში და აჩქარებული ხმით მითხრა — ჩამოჯდომა მაგიდას უკან და ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა, შეხედეო...** მივხვდი, ალექსანდროვის ბაღის მხრიდან სროლას მიპირებდნენ! გადის სულ ცოტა ხანი და **გვარამიას ბანდა** მაპატიმრებს კიდეც.

**ვერასოდეს და ვერავინ დამაჯერებს, რომ გვარამიას „ოპე-**

**რუსეთის საეკლესიო წრეებში ხსენებული არქიმანდრიტი თავს იწონებს და ინტერვიუებშიც იხსენებს, რომ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა, გარდაცვალების წინ სახსოვრად მაჯის საათი გამოუგზავნა, რომლის ქვედა მხარეზე ამოტვიფრულია პატრიარქ პიმენის ინიციალები: პ.პ., არადა, სინამდვილეში ეს საათი, საქართველოში ვიზიტისას პატრიარქმა პიმენმა მე მაჩუქა და გულიაშვილს მოპარული(!) აქვს ჩხრეკის დროს ჩემი სახლიდან!**

## დიდი საოცრებაა, რომ ხატების მითვისებას მედავებიან სწორედ ისინი, რომლებიც ხატებს კი არა, ქვეყანას ჰყიდიან!

# „პატრიარქ ეფრემ მეორის დაკრძალვის შემდეგ, რომლის ორგანიზებამ მთლიანად ჩემს მხრებზე გადაიარა, დავით მეხუთის განკარგულებით გაიხსნა ოთახები და აღიწერა ყოველივე!“



კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II




**რაცია“ უშიშროებიდან არ იმართებოდა და ეს თავდასხმებიც უშიშროების ოპერაციებს არ წარმოადგენდა. ვიღაც ძალიან ჩქარობდა ან დავეჭირე, ან ფიზიკურად გავენადგურებინე.** ეს ვიღაც, ჩემი ანალიზით, მოსკოვიდან მართული პირი იყო და მოსკოვის დავალებას ასრულებდა. მაგრამ რა ინტერესი ჰქონდა მოსკოვს? ერთადერთი — **გამსახურდიას ფაქტორი,** რომლის გათავისუფლება და მისი მომავალი საქმიანობის სქემები, რაშიც მე დაბრკოლებად მოვიაზრებოდი, — წინასწარ შემუშავებული იყო. ამიტომ ყოველგვარი ბრალეულობა, რასაც მიყენებდნენ, შესანიშნავი შესაფუთი „მასალა“ აღმოჩნდა მოსკოვის ოპერაციის განსახორციელებლად. როგორც ჩანს, საქართველოს უშიშროება არ ეთანხმებოდა ჩემი ფიზიკური ლიკვიდაციის გეგმას, ვინაიდან არავინ უწყის, რა პროცესები წავიდოდა შემდგომ და ვისზე შეიწმენდდნენ ხელს! ისიც უეჭველია, რომ პირის ლიკვიდაციას ვერცერთი უშიშროების ჩინოსანი ვერ გაბედავდა, თუ მას ცეკადან ვიღაც გავლენიანის მიერ „მწვანე“ არ ექნებოდა ანთებული...

**იმ მიზნით, რომ ჩემგან მტრის ხატი შეექმნათ, მაშინაც და ახლაც მივრცელებდნენ ხმას, რომ მე უშიშროების აგენტი ვიყავი და ინაური მმფარველობდა. არადა, ინაური რომ ჩემი მფარველი ყოფილიყო, ვინ გაბედავდა მისი შიშით ჩემი ხელის ხლებას? მის წინაშე, ხომ შევარდნაძესაც აცახცახებდა, არამცთუ გვარამიასა და მისი კრიმინალური დაჯგუფების წევრებს...**

იმ ამბების გამო, რაც ჩემს თავზე ხდებოდა, გადავწყვიტე დამერეკა უშიშროებაში და შევხვედროდი მის შეფს, გენერალ ალექსი ინაურს, მაგრამ რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ მისი მისაღებიდან მაცნობეს, რომ ვერ მიმიღებდა(!)... **როგორც ახლა ვხვდები, ინაურის უარის უკან, ცეკას ფაქტორის გათვალისწინებით, სწორედ ის პირები იდგნენ, რომლებიც შემდგომ აქტიურად იყვნენ ჩართულნი იმ პროცესებში, რაც ჩემს დაპატიმრებასა და გასამართლებასთან იყო დაკავშირებული.**

რაც შეეხება **გვარამიასა** და **ალადაშვილის** მიერ ჩემს აგენტობაზე ლაპარაკს, უკეთესი იქნება ერთმაც და მეორემაც თავიანთ აგენტობაზე ილაპარაკონ და სიმართლე უთხრან საზოგადოებას, თუ რამდენი უდანაშაულო ადამიანი ჰყავთ განადგურებული და დახვრეტილი იმავე უშიშროების სამსახურების დავალებით! **აი, რაზე აქვთ მუცლის გვრემა და რისი დამალვა სურთ ერთსაც და მეორესაც, როცა ჩემს აგენტობაზე ხაზგასმით სწორედ საკუთარ აგენტობას მალავენ.** განა წარმოსადგენია, რომ უშიშროებასთან თანამშრომლობის გარეშე ან ერთს, ან მეორეს, ვინმე გააკარებდა ამ საქმეს? **გამსახურდიაც ხომ აქტიურად ავრცელებდა ხმებს უშიშროებასთან ჩემი კავშირების შესახებ, მაგრამ როცა ჩემი დაპატიმრება განახორციელეს იმავე უშიშროების სამსახურებმა, მოსკოვის დისიდენტურ წრეებში და ლიტერატურაში სერიოზული კითხვის ნიშნები გაჩნდა გამსახურდიას ამ ბრალდებასთან დაკავშირებით.** გარდა ამისა, სადაა ე.წ. უშიშროების **ალრიცხვის „კარტოჩკა“,** რომელთაც ხშირად აქვეყნებენ ხოლმე პრესაში თუ ინტერნეტსივრცეში? მაგრამ ეს ტყუილი, რაც საბჭოთა **კგბ**-ს სიცრუის პროპაგანდის გაგრძელებაა, ამ პირების მიერ გათვლილია იმაზე, რომ ამ ჩემმა სერიოზულმა „სამხილმა“ რამენაირად, სპეცსამსახურებთან მათი კავშირები და მათ მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულობანი გადაფაროს.

როცა ვკითხულობ **ალადაშვილის** „არგუმენტებს“ ჩემს საქმესთან დაკავშირებით, გაკვირვებული ვარ, თუ რატომაა ეს კაცი ასე გაცოფებული ჩემს წინააღმდეგ? რა მისცეს ან რას დაჰპირდნენ ისეთს, რომ 37 წლის წინათ გამოტანილი მისი „განაჩენი“ საკრალური მნიშვნელობის უშეცდომო, უნაკლო, უხარვეზო და ხელშეუხებელ დოკუმენტად უნდა წარმოაჩინოს? **ის კი არა, საღვთო წერილში ნახულობენ მეცნიერები წინააღმდეგობებს და განა რა დოკუმენტს წარმოადგენს მისი ბატისფეხურით ნაწერი ეს განაჩენი, რომ მასში წინააღმდეგობებისა და სისულელეების დანახვა ცოდვად ჩაგვეთვალოს?** 15 კი არა, 150 მოწმეც რომ დაასახელოს, მის მოწმეთა ჩვენებებს არავითარი ფასი არ გააჩნიათ დღეს, ვინაიდან ყველა მათგანი იმ პოლიტიკურ სინამდვილეში, როცა ეს სასამართლო პროცესი გაიმართა, ხელისუფლების სპეცსამსახურებისა და გამოძიების დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა! **ალადაშვილმა იმაზეც უნდა გვიპასუხოს, რატომ ხდებოდა ჩემს პროცესზე დასწრება სპეციალური საშვებით და რატომ არ ჰქონდათ ჩემს ახლობლებსა და ნაცნობებს დარბაზში შემოსვლის უფლება?..**

იმ დროს ნებისმიერი საეკლესიო ნივთის და წიგნის გაყიდვა სპეციალურ მაღაზიაშიც კი აკრძალული იყო, უფრო მეტიც, სისხლის სამართლის დანაშაულად, რელიგიურ პროპაგანდად ითვლებოდა და ამიტომაც ხატების თემაც ფრიად რეზონანსული იყო მაშინდელ საზოგადოებაში. მაგრამ ახლა, სადაც არ უნდა გაიხედ-გამოიხედოთ, უამრავი რელიგიური ლიტერატურა და ხატები იყიდება, რასაც, ეტყობა, ვერ აცნობიერებს ალადაშვილი. მას ისევ ძველი დრო ჰგონია და ხატების თემატიკით ფიქრობს, რომ ისევ ამიმხედრებს საზოგადოებასა და სამღვდელოებას. **არა მგონია, ალადაშვილმა ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნება შეძლოს და სახეშეცვლილი ახლანდელი საზოგადოება, თავის დამყაყებულ ჭაობში დააბრუნოს, რომელსაც თავად და ძმანი მისნი მისტირიან...**

„წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“ და თავისი პოზიციის გამყარებას ალადაშვილი სინოდის 1980 წლის „განჩინებით“ ცდილობს და ის კი არ იცის, რომ თავი და თავი პრობლემისა სწორედ იმაშია, რომ **მის „განაჩენსა“** და **სინოდის „განჩინებას“ შორის** თანმიმდევრობა, რიგითობაა დარღვეული. დიახ, ჯერ სინოდის „განჩინება“ უნდა გამოტანილიყო და მხოლოდ ამის შემდეგ — „განაჩენი“, **რაც კიდევ ერთხელ ააშკარავებს დაკვეთილი განაჩენის უკანონობასა და სინოდის „განჩინების“ ანტიკანონიკურობას...**

მაშინდელ სინოდს, რომელიც გარე ძალების მიერ სულ სხვა მიზნებით იყო დაკომპლექტებული და მერე მისი ზოგიერთი წევრები, განიკვეთნენ კიდეც, არ ჰქონდა არავითარი სამართლებრივი საფუძველი, რომ ათეისტი ალადაშვილის განაჩენი საფუძვლად დაედო თავისი „განჩინებისათვის“, ვინაიდან, **„მოციქულთა კანონების“ 75-ე მუხლში** პირდაპირ არის მითითებული, რომ **„თუ ეპისკოპოსს ბრალს სდებს მწვალებელი** (ურწმუნო, ათეისტი), **ნუ იქნება მიღებული ეს ბრალდება“.** ამასვე იმეორებს **მსოფლიო საეკლესიო კრებათა** სხვა დადგენილებებიც. უფლებას ვიტოვებ, ალადაშვილის ამ სამართლებრივ სიბეცეს სხვა დროს გავცე სათანადო პასუხი.

გვარამია-ალადაშვილის საგაზეთო „არია“ იმ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას, რომ ჩემი და საპატრიარქოს დაპირისპირების „კარტის გათამაშებით“ თავისუფლად და დაცულად იგრძნონ თავი. მაგრამ ის მანიპულაციები, რასაც ამ დაპირისპირების პროვოცირებისთვის იყენებენ, საკმაო რაოდენობით შეიცავს თავად საპატრიარქოს წინააღმდეგაც **„ნელი მოქმედების ნაღმებს“,** რაც დაკვირვებული თვალისათვის ძნელი შესამჩნევი არაა. თავად ცილისმწამებელთა კონცეფცია **„შეთქმულება პატრიარქის წინააღმდეგ“** მოიცავს ორიბ აზრს, თითქოს მე პატრიარქს შეთქმულებას ვუწყობდი და ამის ნიადაგზე დამაპატიმრეს, რაც სრული აბსურდია. შეთქმულებას **ეფრემ მეორეს** უწყობდნენ 60-იან წლებში, რის შესახებაც დაწვრილებით მოგვითხრობს ბატონი **სერგო ვარდოსანიძე** თავის ნაშრომში, შეთქმულებას უწყობდნენ **ილია მეორეს** სინოდში შეპარული მღვდელთმთავრები, რაზედაც იგივე ავტორი საუბრობს, მაგრამ ის, რომ მსგავს შეთქმულებაში როდისმე მიმეღოს მონაწილეობა, სისულელეა და მეტი არაფერი!

„ასავალ-დასავალში“ ჩემი პუბლიკაციების შემდეგ შეთქმულების **გვარამია-ალადაშვილისეული** თეორია და არგუმენტები, სრულიად უსუსური და მკვდრადშობილი თეორია აღმოჩნდა, რის გამოც შეთქმულების ახალი და უფრო რეზონანსული ვერსია მოიფიქრეს, რათა **ჩემი და პატრიარქის დაპირისპირება** დიდი ხნის საკვები გამხდარიყო პრესისა და სკანდალის მოყვარული საზოგადოებისათვის... ერთ-ერთი ჩემი ფეისბუქელი „მეგობარი“, თანაც მღვდელი, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ დამიმეგობრდა და სპეცსამსახურებთან კავშირში მყავდა შენიშნული **(სქიზმატის საქმეს მიკერავდა),** ჩემი წერილის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ, ღამის სამ საათზე „პირადში“ უცნაურ კითხვას მისვამს: — **ვუჭერ თუ არა პატრიარქის ლუსტრაციას მხარს?** კითხვა კარგად აწონილ-დაწონილი და წინასწარ მოფიქრებული ჩანდა. პასუხის ორივე ვარიანტი ფეთქებადი იყო... თუ ვუპასუხებდი **„არა“,** პატრიარქის მოწინააღმდეგეებს ამიმხედრებდა და ათას კუდს გამოაბამდნენ, ხოლო, თუ ვუპასუხებდი **„დიახ, ვუჭერ მხარს“,** ამას მაშინვე დააკოპირებდა და იმათ გადაუგზავნიდა, ვისგანაც ეს კითხვა იყო ნაკარნახევი. **ბუნებრივია, პატრიარქს მოხსენდებოდა, რომ მას „ძველებურად ისევ ვმტრობ“ და მის ლუსტრაციას ვითხოვ ახლა, რაც აღქმული იქნებოდა მის წინააღმდეგ ახალი და მასშტაბური შეთქმულების ფარულ დასაწყისად ჩემი მონაწილეობით და იმის გაგრძელებად, რასაც ამზადებდნენ ჩვენი არაკეთილის მოსურნენი. პატრიარქის ლუსტრაციის მოთხოვნა ჩემს მიერ, გათვლილი იყო ერთდროულად, როგორც ჩემი, ასევე პატრიარქის წინააღმდეგ.** შეკითხვის ავტორს, რომელიც საკმაოდ ბნელი და გაუნათლებელი მღვდელია, „პირადში“ ვერ ავუხსნიდი, რომ პატრიარქი კონსტიტუციურად, კონკორდატის საფუძველზე, ხელშეუხებელი პიროვნებაა და ჩემი მხრიდან, როგორც სინოდის ყოფილი წევრისაგან, მსგავსი მოთხოვნის გაჟღერება ჯერ ერთი — იქნებოდა ხელისუფლებისა და, კერძოდ, სპეცსამსახურების კომპეტენციაში შეჭრა და მეორეც — პროვოკაციული და არასერიოზული! **ამიტომ მის მიერ დასმულ კითხვას მოკლედ ვუპასუხე, რომ კითხვა იყო პროვოკაციული,** რის გამოც მეორე დღის საჯაროდ, ჯერ ინტერნეტში და მერე ტელეფონში უსაშველო სიტყვებით მლანძღა და მაგინა გვარამიასის გულის მოსაგებად!

**არავითარ ეჭვს არ იწვევს ჩემში, რომ ეს სუბიექტი არა საკუთარი სინდისით, არამედ გარე ძალების დავალებით მოქმედებს და სპეცსამსახურების რუპორის წარმოადგენს ინტერნეტსივრცეში.** თუ ასე არაა, მაშ რატომ აქვს მითვისებული იღუმენობა, გამშვენებული ჯვრის ტარების პატივი, რაც ქურდობაზე უარესია? სხვათაშორის, იგი უცენზურო სიტყვებით ლანძღავს და მიწასთან ასწორებს სინოდის ნახევარზე მეტს, უმძიმეს ბრალდებებს უყენებს მკვლელობების ჩათვლით და მას არავინ სთხოვს პასუხს არც სინოდიდან და არც სპეცსამსახურებიდან... რაზე მეტყველებს ეს?.. ვიდრე მასთან „კონფლიქტი“ მომიხდებოდა, სოციალურ ქსელში ჯერ მოწოდება გააკეთა, შეწყვეტილიყო გვარამიას თემაზე კომენტარები და თან შუამდგომლობას(!) მთავაზობდა გვარამიასთან საქმის გასარჩევად, ანუ იმ კაცთან, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ ცოცხლად დავემარხე და დღესაც არ მანებებს თავს! სწორედ ამის შემდეგ გადმოვიდა ანაფორიანი დამსმენი პირდაპირ პროვოკაციასა და ლანძღვა-გინებაზე... **მე ვალდებული ვარ, ამგვარი შეურაცხყოფები ავიტანო, მაგრამ მტრების ჩანაფიქრი პატრიარქის წინააღმდეგ შეთქმულებაზე, სადაც მთავარი მოქმედი პირი მე უნდა გამოვსულიყავი, მათდა სამწუხაროდ, მე თვითონ ჩავშალე. პროვოკაციულ კითხვას პასუხი არ გავეცი, რის გამოც ლუსტრაციის ფეთქებადმა თემამ გაგრძელება ვეღარ ჰპოვა და „დაგეგმილი შეთქმულებაც“ ჩაშალა...**

გვარამია ბრძანებს, რომ ვარ გაორებული პიროვნება და **„ერთდროულად იჯდა ჩემში სატანა და კარგად განათლებული ადამიანი“,** რაც სინამდვილეში არის არა ჩემი, არამედ მისი დახასიათება და სახე, თუ როგორი აღქმა აქვს ადამიანებისა, რომლებიც შეიძლება სძულდეს ან არ მოსწონდეს. მას სრული უფლება აქვს, პატივს არ მცემდეს და არც არასდეს არ მოვითხოვ მისგან პატივისცემას, მაგრამ შევახსენებ, რომ ორი დიდი პატრიარქის, **ეფრემ მეორის და დავით მეხუთის** ხელით ვარ გაზრდილი და ჩამოყალიბებული, როგორც სასულიერო პირი. დიახ, მე მათ გამზარდეს, მაფასებდნენ და ვეიმედებოდნენ! მაგრამ ის ყველა ბრალეულობა, რაც წამომიყენეთ, ბატონო ვახტანგ, მართალიც რომ იყოს, **არა გაქვთ არავითარი უფლება, სატანა მიწოდოთ.** ეს მე კი არა, საკუთარ თავს არ უნდა აკადროთ, თუკი ოდნავ მაინც ქრისტიანული რწმენა და შეგნება გაგაჩნიათ. **ადამიანში ჩასახლებული სატანის თქვენეული ხედვა, შუასაუკუნეების ბნელით მოცულ ხანას მახსენებს, სადაც ასეთი ბრალდებით ადამიანებს კოცონზე წვავდნენ, რომლის თანამედროვე იდეოლოგად და სტიმულატორად თქვენ და თქვენისთანები გვევლინებიან**!

მე თქვენს გაყინულ სახესა და თვალებში ინკვიზიტორს ვხედავ, რომელიც სიწმიდის დაცვის სახელით, მზადაა, ადამიანი ცეცხლში დაწვას. თქვენ ეს ჯერ კიდევ მაშინ გააკეთეთ, როცა ცოცხლად დაამარხვინეთ **ალადაშვილებს** სრულიად ახალგაზრდა იერარქი, რომელსაც, ალბათ, ჰქონდა შეცდომებიც, მაგრამ არაფრით იმსახურებდა ისე მოპყრობას, როგორც თქვენ მოექეცით, თქვენ — რომელთაც კარიერაზე და ფულზე გქონდათ გაყიდული საკუთარი ღირსებაც და ქვეყანაც!

**მე შემეძლო საერო ხაზით გამეგრძელებინა ცხოვრება და წარმატებებისთვისაც მიმეღწია, მაგრამ ღვთისა და ჩემი სამშობლოს დიდმა სიყვარულმა ეკლესიის მსახური გამხადა, გავიღე უზარმაზარი მსხვერპლი, რაც გასათელი, დასაწიხლი და დასაცინი გახადეს თქვენისთანებმა.** ახლა, სამოცდაათ წელს გადაცილებულ ხანდაზმულ კაცს, მიწოდებთ სატანას და არც კი უფიქრდებით, ვისი მსახური ხართ თქვენ თვითონ, ღვთისა თუ სატანის? **იქ, სადაც მსგავს სიტყვას ხმაროვენ ადამიანის მისამართით, ნიშანია იმისი, თუ რა დიდ სულიერ კრიზისშია ჩავარდნილი საზოგადოება, რა კატასტროფულად დაბალია საღვთისმეტყველო ცოდნა და განათლება, არცოდნა იმისა, რომ ადამიანი ჭურჭელია არა სატანის, არამედ ღმერთის, რომლისაგანაც თქვენ ესოდენ დაშორებული ყოფილხართ.**

საეკლესიო საქმიანობიდან თქვენს მიერ ჩემმა მოკვეთამ, რომელსაც დიდ გამარჯვებად თვლით, პასუხისმგებლობისა და თანამონაწილეობის ტვირთი მომხსნა იმ ნეგატივებზე, რაც შინაურ საქმეებში თქვენი ჩარევით გაბატონდა საქართველოს ეკლესიაში და დიდი გამოცდის და საფრთხის წინაშე დააყენა იგი! **ბრალეულობა, რასაც მიყენებდით, მდოგვის მარცვალია იმასთან შედარებით, რასაც დღესა აქვს ადგილი და რომლის დანახვა არც გსურთ და არც შეგიძლიათ...** მაგრამ ძალზე ვწუხვარ, რომ ყოველივე ამის დასაძლევად, მე თქვენგან დევნილმა და გაწამებულმა, ვერაფერი ვარგე დედაეკლესიას. უფალმა განსაჯოს!

ამ წერილს კი ასე დავამთავრებ: **დიდი საოცრებაა, რომ ხატების მითვისებას მედავებიან სწორედ ისინი, რომლებიც ხატებს კი არა, ქვეყანას ჰყიდიან!** აი, ესაა ჩვენი დროის ყველაზე დიდი პარადოქსი, რომლის ახსნას, მართალია მე ვერ მოვესწრები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უეჭველად, ხვალინდელი დღე ამაზე ზუსტ და ამომწურავ პასუხს გასცემს... **„საჯენ უფალო მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე — მბრძოლთა მათ ჩემთა“!** დავით წინასწარმეტყველის ლოცვის ამ ტაეპს ფსალმუნიდან დიდი ქართველი მეფსალმუნის **დავით გურამიშვილის** დიდებულ სტროფს მივამატებ „დავითიანიდან“:

**„მე კი ვჭფარავ,**
**მაგრამ ჩემი სატკივარი**
**არა ჰფარავს,**
**მეტად მწარედ**
**გული მტკივა,**
**მაჟრჟოლებს და**
**ტანში მზარავს,**
**ვერ მოვითმენ,**
**რომ არ დავგმო,**
**აღმა მხვნელსა,**
**დაღმა მზარავს,**
**ჩემი ცოდვამაც მისცემია,**
**ჩემს ამამხრელს,**
**ამამზარავს!“**

ამინ!

**დასასრული**



დიდუბობა. **პატრიარქი დავით V,** მისგან მარჯვნივ **ეპისკოპოსი გაიოზი,** მარცხნივ **— ეპისკოპოსი გიორგი ღონღაძე**